ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

1

2013

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

მირანდა ბაშელეიშვილი

დაპირისპირება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ირანში 4

წინასაარჩევნო პერიოდი და საპრეზიდენტო კანდიდატები 5

თინათინ კუპატაძე

რამდენად დაცულია ადამიანების უფლებები ირანში 8

სიმონ გურეშიძე

ვითარება ეგვიპტეში 11

ისრაელ–პალესტინელი არაბების კონფლიქტის ასახვა ისრაელისა და არაბული ქვეყნების პრესაში 15

ინგა ინასარიძე

საპროტესტო მოძრაობა ბაჰრეინში 19

მარიამ გურეშიძე

დასავლეთი და სირიის კრიზისი 23

ალჟირი და მალის კრიზისი 26

თამთა ბოკუჩავა

თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობები და კანონი სომხების გენოციდის შესახებ 27

თურქეთის ტერიტორიაზე „პატრიოტის“ ტიპის სარაკეტო სისტემების განთავსება 28

თურქულ-ქურთული კონფლიქტი: დასასრულის დასაწყისი 30

გიორგი სანიკიძე

ირანის ბირთვული პროგრამა 32

მირანდა ბაშელეიშვილი

დაპირისპირება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ირანში

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გასულ წელს გამოკვეთილი პოლიტიკური ტენდენციები მეტ-ნაკლები სახეცვლილებით კვლავ გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. როგორც მოსალოდნელი იყო, ისლამური რესპუბლიკის მმართველ პოლიტიკურ შტოებს შორის დაპირისპირება გრძელდება და კიდევ უფრო მძაფრდება. რაც შეეხება, ბირთვულ კრიზისის მოგვარებას, მიუხედავად ირანისა და „ექვსეულის" წარმომადგენლებს შორის დიპლომატიური შეხვედრების გაგრძელებისა, ამ ეტაპზე არანაირი ცვლილება არ შეინიშნება. ირანსა და აშშ-ს შორის დიალოგის დაწყების მცდელობაც კიდევ ერთხელ ჩაიშალა.

ირანის მმართველ კონსერვატორებს შორის გასულ 2012 წელს დაწყებული დაპირისპირება კვლავ გრძელდება. შინა პოლიტიკური უთანხმოება, ძირითადად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის არსებული უთანხმოებითაა გამოხატული.

ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების შტოებს შორის დაძაბულობის ახალი ტალღა მეჯლისის მიერ სოციალური დაცვის, ჯანმრთელობისა და შრომის მინისტრისთვის - *აბდოლრეზა შეიხ ესლამისთვის* იმპიჩმენტის გამოცხადებას მოჰყვა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ირანის პრეზიდენტი მეჯლისში მივიდა. საკანონმდებლო ორგანოში სიტყვით გამოსვლისას, მაჰმუდ აჰმადინეჟადმა მეჯლისის სპიკერის ძმა *ფაზელ ლარიჯანი* და ზოგადად, ლარიჯანების კლანი, კორუფციაში დაადანაშაულა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას აქვს ფარული ვიდეო ჩანაწერი, რომელიც ამტკიცებს, რომ მეჯლისის სპიკერის ძმა, სოციალური და შრომის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, თეირანის ყოფილი პროკურორის, *მორთაზავის* კორუფციაში ჩართვას ცდილობდა. პრეზიდენტის აღნიშნულ განცხადებას, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით, მორთაზავის დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა, ის მალევე გაათავისუფლეს. რაც შეეხება, მეჯლისის მიერ გადაყენებულ სოციალური დაცვისა და შრომის მინისტრს, მაჰმუდ აჰმადინეჟადმა ის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ისლამური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, ქ. ყუმში ჩასულ მეჯლისის თავმჯდომარის, *ალი ლარიჯანის* წინააღმდეგ, პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მომხრეებმა, საპროტესტო აქცია გამართეს და გამოსვლის შეწყვეტა აიძულეს.

ირანის პოლიტიკურ წრეებში არსებულ დაპირისპირებას გამოეხმაურა სულიერი ლიდერი. ალი ხამენეიმ, არსებული უთანხმოების გამო, უკმაყოფილება გამოთქვა. თუმცა, ამჯერად, ალი ხამენეიმ საკანონმდებლო ორგანო გააკრიტიკა. ხამენეის თქმით, იმ პირობებში, როცა მინისტრთა კაბინეტის მუშაობის დასრულებამდე ცოტა ხანი დარჩა, მინისტრისთვის იმპიჩმენტის გამოცხადება, მეჯლისის მხრიდან არასწორია. სულიერი ლიდერის განცხადების შემდეგ, მეჯლისის სპიკერმა სულიერ ლიდერს, ოფიციალური წერილით, ბოდიში მოუხადა.

მიუხედავად ამ ეპიზოდში პრეზიდენტისა და ალი ხამენეის პოზიციების თანხვედრისა, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ურთიერთობების გაუმჯობესება უკვე არარეალურია. ბოლო პერიოდში, მოქმედი პრეზიდენტი უკვე აღარ ცდილობს დაპირისპირების შენიღბვას და ღიადაც აცხადებს, რომ ალი ხამენეისთან უთანხმოება აქვს. ის ამჟამად აქტიურად ცდილობს საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი მომხრე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, *ესფანდიარ რაჰიმ მაშაის* აქტიურ ჩართვას და თუ მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ მისცემენ, აჰმადინეჟადი არჩევნების ჩაშლითაც იმუქრება.

მიუხედავად აღწერილი ვითარებისა, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წლის დასაწყისისგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის

დაპირისპირება აღარ შეინიშნება. პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ წარდგენილი ჯანდაცვის ახალი მინისტრის კანდიდატურა მეჯლისმა, მართალია დეპუტატთა ნაწილის წინააღმდეგობით, მაგრამ მაინც დაამტკიცა. მთავრობასა და მეჯლისს შორის არსებული დაპირისპირების ტენდენციების შენელება, არ შეიძლება მივიჩნიოთ ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების აღნიშნულ შტოებს შორის შეთახმების ნიშნად. სავარაუდოდ, მოახლებული საპრეზიდენტო არჩევნების და სულიერი ლიდერის მრავალჯერ განმეორებული მოწოდების შედეგად, ერთმანეთთან დაპირისპირებულმა პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადმა და მეჯლისის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ უთანხმოებების ღიად გამოხატვისგან თავის შეკავება გადაწყვიტეს. ისინი ძირითადად საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი ფრთის გამარჯვებისთვის ბრძოლით არიან დაკავებულები.

წინასაარჩევნო პერიოდი და საპრეზიდენტო კანდიდატები

ირანის რიგით მე-11 საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 13 ივნისს გაიმართება. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ნათლად გამოიკვეთა ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გამკაცრება მედია-საშუალებებზე (რასაც ისლამური რეჟიმი არასაარჩევნო პერიოდშიც დიდ ყურადღებას უთმობს). ამას ბოლო პერიოდში ჟურნალისტთა მასობრივი დაპატიმრების ფაქტები მოწმობს - 14 ჟურნალისტი უცხოურ მედიასაშუალებებთან კავშირისა და ჯაშუშობის ბრალდებით ერთად დააკავეს. ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე მათგანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მედიაზე კონტროლის ცენტრი იქმნება და არჩევნებზე დამსწრე უცხოელ ჟურნალისტებს დარეგისტრირება შეეძლებათ.

მიმდინარე მოვლენებიდან ცხადი ხდება, რომ საარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად ქვეყანაში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. სიტუაციის სრულად გაკონტროლებას ისლამური რეჟიმი კვლავ ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის - „ფასდარანებ“-ის მეშვეობით შეეცდება. მათმა ერთ-ერთმა მეთაურმა ოფიციალურად გაუსვა ხაზი, „ფასდარანების“ პოლიტიკურ როლს და მიანიშნა, მათ აქტიურ მონაწილეობაზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ისლამური რევოლუციის გვარდიას 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაწყებული საპროტესტო ტალღის დროს კარგი გამოცდილება აქვთ მიღებული. თუმცა, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ არჩევნების პერიოდში დაძაბულობის თავიდან აცილება შეძლონ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც ირანის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოიკვეთა და მას წინა პერიოდის საპრეზიდენტო არჩევნებისგან განასხვავებს, არის ის, რომ მმართველი ფენა არამონოლითურია. ჯერ კიდევ 2012 წლის 1 მარტს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლინდა, რომ მმართველ კონსერვატორებს შორის სხვადასხვა მიმართულებები არსებობდა. საპრეზიდენტო არჩევნებში კონსერვატორების მხრიდან რამდენიმე კანდიდატმა წარმოადგინა საკუთარი კანდიდატურა, თუმცა ოფიციალური რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლიათ.

ცალკე შეიძლება განვიხილოთ მოქმედი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი და მისი მომხრეები. აღსანიშნავია, რომ იგი მეორე ვადით არის პრეზიდენტი და კენჭის ყრის უფლება აღარ აქვს. ის ცდილობს საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი გუნდის წევრს - ესფანდიარ რაჰიმ მოშაის გაამარჯვებინოს, რაც მას საშუალებას მისცემს, ფაქტობრივად, ისევ დარჩეს ხელისუფლებაში. თუმცა, ამ ეტაპზე გაურკვეველია, შეძლებს თუ არა მოშაი ისლამური რესპუბლიკის მეჯლისთან არსებული „ექსპერტთა საბჭოსგან“ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღებას.

მაჰმუდ აჰმადინეჟადმა და მისმა გუნდმა სულიერ ლიდერთან დაპირისპირების ფონზე ორიენტაცია საზოგადოების და განსაკუთრებით, ახალგაზრდობის მხარდაჭერის მოპოვებაზე

აიღეს. მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის, განსაკუთრებით, მეორე ვადაში გამოთქმული მოსაზრებები აღნიშნულს მოწმობს: მან დანიშნა პირველი ქალი მინისტრი, მხარი დაუჭირა ქალების სტადიონზე დასწრების იდეას და შეეწინააღმდეგა ისლამური ჩაცმის სტილის გამკაცრებას. აჰმადინეჟადის აღნიშნულმა ნაბიჯებმა შიიტურ სასულიერო რეჟიმთან დაპირისპირება გამოიწვია. შიიტურ სასულიერო ფენასა და მაჰმუდ აჰმადინეჟადს შორის დაპირისპირების გამწვავება ბოლოს პრეზიდენტის მიერ ვენესუელას პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის დაკრძალვის ცერემონიაზე მისი დედისთვის გადახვევის ფაქტმაც გამოიწვია. მისი კანდიდატი მოშაი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ ისლამისტობის, როგორც ცხენზე ჯდომის დრო, უკვე გავიდა. მათი ასეთი კურსი, სავარაუდოდ, ირანის ახალგაზრდობის საარჩევნო ხმების და ასევე, დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვებას უკავშირდება. აჰმადინეჟადის მომხრე კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, მათ აღებულ კურსზე დაყრდნობით, ისლამურ რეჟიმის არსებობას ირანში აშკარა საფრთხე შეექმნება.

ირანში მოამავალი საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, განსხვავებით 2012 წლის მეჯლისის არჩევნებისა, გააქტიურდნენ რეფორმატორები. მათი ლიდერები - *მირ ჰოსეინ მუსავი* და *მეჰდი ქარუბი* უკვე დაახლოებით 2 წელია აიათოლა ალი ხამენეის ბრძანების შინაპატიმრობაში იმყოფებიან. ამჟამად, ძირითადად, მათი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და ისლამური რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი *მოჰამად ხათამი* აქტიურობს. მან წინასაარჩევნოდ რეფორმატორთა გეგმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეფორმატორებს ქვეყნის „გადარჩენის გეგმა“ და მისი განმხორციელებლებიც ჰყავთ. ამას მოჰყვა ევინის ციხეში მყოფი ერთ-ერთი პოლიტმატიმრის და რეფორმატორთა ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ხათამისადმი ოფიციალური თხოვნის გადაცემა, რომ მან საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს. ირანის ყოფილ პრეზიდენტს, ამ ეტაპზე, აღნიშნულ თხოვნაზე პასუხი არ გაუცია. ჯერჯერობით რეფორმატორებს საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად არ წამოუყენებიათ. თუმცა, დიდი ალბათობით, მათი წარმომადგენელი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს და არ არის გამორიცხული, ეს ირანის ყოფილი პრეზიდენტი მოჰამად ხათამი იყოს.

ამ ეტაპზე ირანის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატთა შესახებ კონკრეტულად რამის თქმა ნაადრევია. მართალია, უკვე ხელისუფლებაში მყოფმა კონსერვატორთა წარმომადგენელებმა საკუთარი კანდიდატურები წამოყენეს, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატთა ოფიციალური რეგისტრაცია 2013 წლის მაისში დაიწყება და ირანის მეჯლისთან არსებული „ექსპერტთა საბჭო“ შემოწმების შედეგად დაადგენს ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საბოლოო კანდიდატებს.

საპრეზიდენტო არჩევნებში ამ ეტაპზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენეს შემდეგმა პირებმა:

- *მოსთაფა ფურ მოჰამადიმ* - ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და დაზვერვისა და კონტროლის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა;
- *რეზა გაჰონარმა* - პარლამენტის თავჯდომარის მოადგილემ;
- *ჰასან როუჰანიმ* - ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა;
- *მანუჩეჰრ მოთაქიმ* - ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა;
- *ალი ფალაჰიანმა* - უშიშროების ყოფილმა მინისტრმა;
- *მოჰამედ გაგერ ხარაზიმ* - ორგანიზაცია „ჰეზბოლას“ ირანის წარმომადგენლობის გენერალურმა მდივანმა;
- *მოჰამედ საიდ ქიამ* - ირანის საბინაო და ურბანული განვითარების ყოფილმა მინისტრმა;
- *მოჰამად ჰოსნ აბუთარაბიფარდიმ* - ირანის მეჯლისის სპიკერის მოადგილემ;
- *მოჰსენ რეზაიმ* - ქვეყნის მოწყობის მიზანშეწონილობის საბჭოს მდივანი;
- *ალი აქბარ რაფსანჯანიმ* – ყოფილმა პრეზიდენტმა.

აღსანიშნავია, საკუთარი კანდიდატურის დასახელებას აპირებს სპეციალურად საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული „1+2 კოალიცია“, რომელშიც შედიან სულიერი ლიდერის - აიათოლა ალი ხამენეის მრჩეველი საგარეო საკითხებში *ალი*

აქბარ ველაიეთი, თეირანის მერი *მოჰამად ბაყერ ყალიბაფი* და მეჯლისის წევრი *ყოლამ ალი ჰადად ადელი.*

აქამდე წარმოდგენილი კანდიდატები ძირითადად კონსერვატორთა წრიდან არიან. სავარაუდოდ, საკუთარ კანდიდატურაზე შეჯერდებიან რეფორმატორები. ამდენად, წინასაარჩევნო პერიოდი ირანში არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო დაიძაბება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი „ექსპერტთა საბჭოს“ მიერ საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატთა შერჩევის პროცესი იქნება. აქ ერთ-ერთი მწვავე საკითხი მოქმედი პრეზიდენტის გუნდის წევრის ესფანდიარ რაჰიმ მოშაის ოფიციალურად საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგსიტრირება იქნება. აღნიშნული საბჭოს მიერ ესფანდიარ რაჰიმ მოშაის დაბლოკვას შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი ღონისძიებები მოჰყვეს. აღსანიშნავია, რომ მაჰმჰუდ აჰმადინეჟადმა, მოშაის კანდიდატურის დაბლოკვის შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის მუქარა უკვე გააჟღერა.

გამოყენებული მასალები:

http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/02/130203_l42_vid_impeachment.shtml
http://www.shafaf.ir/fa/news/165931/%D9%88%D8%A7%DA%A9%D9%86%D8%B4-%D8%B4%D8%AF%DB%8C%D8%AF-%D8%A7%D8%AD%D9%85%D8%AF%DB%8C%E2%80%8C%D9%86%DA%98%D8%A7%D8%AF-%D8%A8%D9%87-%D8%A8%D8%A7%D8%B2%D8%AF%D8%A7%D8%B4%D8%AA-%D9%85%D8%B1%D8%AA%D8%B6%D9%88%DB%8C
http://www.eurasiareview.com/13032013-iran-reformist-group-calls-on-former-presidents-to-run/
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/03/130314_u10_obama_iran_israel.shtml
http://www.iran.ru/news/politics/86416/Na_post_prezidenta_Irana_pretenduyut_uzhe_shest_chelovek
http://www.iran.ru/news/politics/86173/Vlasti_Irana_osvobodili_pod_zalog_14_zhurnalistov
http://www.rosbalt.ru/main/2013/03/03/1101206.html
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/03/130304_l23_ir92_election_mohsen_rezaee.shtml
http://www.radiofarda.com/content/f12_mohsen_rezaie_candidate_presidential_election/24918779.html
http://www.iran.ru/news/politics/86339/V_Irane_osvobozhdeny_pod_zalog_tri_zhurnalista_rabotayushchih_v_liberalnyh_izdaniyah
http://www.radiofarda.com/archive/news/20130310/143/143.html?id=24924242
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/03/130310_l57_shakinghand_chavez_funeral.shtml
http://www.iran.ru/news/politics/86340/V_Irane_sozdaetsya_komitet_po_kontrolyu_za_deyatelnostyu_inostrannyh_zhurnalistov_v_hode_prezidentskih_vyborov
http://www.radiofarda.com/archive/news/20130313/143/143.html?id=24926945
http://www.radiofarda.com/archive/news/20130313/143/143.html?id=24927964
http://www.radiofarda.com/archive/news/20130313/143/143.html?id=24927948
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/03/130317_l20_ir92_pourmohammadi.shtml
http://www.radiofarda.com/content/f10-pourmohammadi-and-kavakebian-join-presidential-race/24930888.html
http://www.regnum.ru/news/polit/1638463.html

თინათინ კუპატაძე

რამდენად დაცულია ადამიანის უფლებები ირანში

დღევანდელ მსოფლიოში ირანი, პირველ რიგში, დასავლეთისათვის წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელიც ასოცირდება ბირთვული პროგრამასთან, ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერასა და ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ განუწყვეტლივ მუქარასთან. მაგრამ, ამის გარდა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს და არც თუ იშვიათად წარმოადგენს განხილვის საგანს გაეროსა თუ სხვა დასავლური ქვეყნებისათვის.

2011 წ. 19 ოქტომბერს გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა - *აჰმად შაჰიდმა*, რომელსაც ირანში ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშის მომზადება ჰქონდა დავალებული, გაეროს უფლებათა დამცველ კომისიას წარუდგინა ოფიციალური მოხსენება, სადაც წარმოდგენილია ის მრავალრიცხოვანი ფაქტები, რაც ადასტურებს ირანში შექმნილ მძიმე მდგმარეობას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

ანგარიშში ასახულია პოლიტიკური აქტივისტების, ჟურნალისტების, მსახიობების, სტუდენტების და ა.შ. დევნისა და შევიწროების ფაქტები. ასევე სიკვდილით დასჯის შემაშფოთებელი ციფრები, თავისუფალი შეკრებების, ქალთა უფლებების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების შეზღუდვისა მრავალრიცხოვანი შემთხვევები.

ანგარიშში ფართოდ არის განხილული ოპოზიციური ლიდერების *მირ ჰოსეინ მუსავისა* და *მეჰდი ქარუბის*, ასევე მათი მეუღლეების ზაჰრა რაჰნავარდისა და ფათემე ქარუბის შიდა პატიმრობის საკითხი, რომლებიც მოწმეთა ჩვენების თანახმად (რომელთა ვინაობაც ანონიმურია), საკმაოდ მძიმე პირობებში იმყოფებიან. მათ გარე სამყაროსთან ყველნაირი კონტაქტისა და ოჯახის წევრების ნახვის საშუალება შეზღუდული აქვთ.

ანგარიშში ასევე გაშუქებულია საიდუმლო სიკვდილით დასჯის ფაქტები ირანის სხვადასხვა რეგიონის ციხეებში, განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებულია მაშჰადთან მდებარე ვაქილაბადის ციხეზე და იქ პატიმართა სასტიკ მოპყრობაზე.[1]

ირანის ხელისუფლებამ და ოფიციალურმა პირებმა ამ ანგარიშს სიყალბე და ტყუილი უწოდეს და არც კი დათანხმებულან შაჰიდთან თანამშრომლობაზე. იგი გაეროსა და ამერიკის დაქირავებულ მოხელედ დაასახელეს.

ანგარიშის წარდეგინის შემდეგ გაერომ 22 ნოემბერს მორიგი რეზოლუცია გამოსცა ირანის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, რამაც ქვეყნის ხელისუფალთა მხრიდან დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაკეთდა უამრავი კომენტარი ამ ფაქტთან დაკავშირებით. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სასამართლოს ადამიანთა უფლებათა დამცველი კომისიის თავმჯდომარე *მოჰამად ჯავად ლარიჯანი*, რომელმაც რეზოლუცია საერთაშორისო საზოგადოებაზე თავდასხმად და გაეროს მხრიდან უპატიებელ შეცდომად შეაფასა. [2]

ლარიჯანის განცხადებით, ბრალდებები ირანის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ირანის მიმართ ამერიკის მტრული დამოკიდებულებისა და პოლიტიკის შედეგია. მისი აზრით, შაჰიდის დასკვნა ტერორისტების მიერ წამოყენებული ბრალდებების გამეორების გარდა არც არაფერს წარმოადგენდა. „დასავლეთს არ შეუძლია ირანის იზოლაცია ისეთი საკითხის დასმით. როგორიცაა ადამიანის უფლებები, "რადგან ირანი რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ქვეყანას წარმოადგენს, რომელიც მისაბაძი მაგალითი იქნება ყველა ისლამური ქვეყნისთვის. [3]

მოჰამად ლარიჯანიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა ბრალდებებს ბრალდებებითვე უპასუხეს. მათი განცხადებით, ამერიკა და დასავლეთის სახვა ქვეყნები თავად წარმოადგენენ ყველაზე დიდ ძალას, რომლებიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და დემოკრატიის დაცვის ნიღაბს ამოფარებულნი არღვევენ ადამიანთა უფლებებს და მოითხოვეს ამ ფაქტების ობიექტური გამოძიება.

სიმართლე კი ის გახლავთ, რომ 2009 წ. ირანის ისლამური რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ყველაზე მეტად დამძიმდა სიტუაცია. ამის შესახებ ქვეყნდება ინფომაციები სხვადასხვა ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დამცველების, ინტერნეტ საიტების საშუალებით. მაგალითად, „Human Rights Watch“ თითქმის ყოველდღე აქვეყნებს ირანში ადამიანის უფლებების დარღვევის ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ქალთა უელებების დარღვევა, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაცია, არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა, წამება და ა.შ. [4]

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის, მონაცემებით ირნამა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში სიკვდილით დასჯის ფაქტების რაოდენობით, რომელთაგან უმეტესობა რათქმაუნდა გასაიდუმლოებულია სახელმწიფოს მიერ.

ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხი აქტუალურია არა მხოლოს საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, არამედ თავად ირანელი ხალხისთვისაც, რომელთა შორისაც გამორჩეულ ადგილს იკავებს დისიდენტი მწერალი და ჟურნალისტი აქბარ განჯი. იგი რედაქტორი ავტორია უამრავი ოპოზიციური გაზეთისა თუ წიგნისა („თარიქხანეიე აშბაჰ“, „ალიჯენაბე ნსორხფუშ ვა ალიჯენაბანე ხაქესთარი“და სხვ.), სადაც სააშკარაოზე აქვს გამოტანილი სისტემის ბნელი და მანკიერი მხარეები, ინტელექტუალთა მკველელობები თუ წამებები, ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები. [5]

თავისი ანტისახელისუფლებო მოღვაწეობის გამო ა.განჯი 2000-2006 წწ. სასჯელს იხდიდა ევინის ციხეში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ შეუწყევტია სტატიების წერა. ა.განჯის ღია წერილები და პოლიტიკური მანიფესტები ფარულად გადიოდა ციხიდან და შემდგომ ინტერნეტის საშუალებით ვრცელდებოდა. იგი მოუწოდებდა ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, წარმოადგენდა რა საკუთარ თავს ამ ბრძოლის მაგალითად. [6]

როდესაც ხარ პატიმარი, ყველანაირი იარაღი უნდა გამოიყენო რაც გაგაჩნია, მათ შორის საკუთარი სოცოცხლეც, რომ უთხრა „არა“ ავტოკრატიულ რეჟიმს. შიეძლება ამით საკუთარი სოცოცხლე გაწირო, მაგრამ სხვა მიხვდება და ისწავლის რომ ბრძოლა გრძელდება. ბრძოლა დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისათვის არ უნდა შემცირდეს არც თეორიულ და არც ინტელექტუალური დებატების დონეზე. ამიტომაც უნდა იყო ჩართული ამ იდეების რეალიზაციისთვის ბრძოლაში.[7] ა.განჯის ღია წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაეროს გენერალური მდივნის, ბან კი-მუნისადმი მიწერილი წერილი, სადაც ა. განჯი მთელი სიცხადით წარმოადგენს ირანელი ხალხის მდგომარეობის ამსახველ მძიმე სურათს. „ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოაგადოება რეპრესირებულია და ხელიოსუფლება არც კი ცდილობს ადამიანის უფლებების დაცვას. ათასობით პოლიტიკური პატიმარი დასაჯეს სიკვდილით რევოლუციის შემდგომი ათი წლის მანძილზე, შემდგომი წლების განმავლობაში კი უამრავი დისიდენტი და საზოგადო მოღვაწე გამოასალმეს სიცოცხლეს...

„განუწყვეტლივ იხურება დამოუკიდებელი აზრის მქონე ჟურნალ-გაზეთები, ჟურნალისტებს აპატიმერებენ... ინტერნეტსაიტებზე ხორციელდება კონტროლი, წიგნებზე ვრცელდება ცენზურა...

ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობა არ არსებობს... როდესაც ქალები ითხოვენ თანაბარ უფლებებს, მათ უწევთ სხვადასხვა სასჯელის, მათ შორის ხანგრძლივი პატიმრობის, მსხვერპლი ხდებიან... 21-ე ს. ირანში კვლავ არსებობს სასჯელი სასტიკი ფორმა - ქვებით ჩაქოლვა...“ [8]

ადარებს რა განჯი რევოლუციამდე და რევოლუციის შემდგომ საზოგადოების მდგომარეობას იმ დასკვნამდე მიდის, რომ პოლიტიკურ რეპრესიებს უფრო მასშტაბური სახე აქვს მიღებული დღეს, ვიდრე ჰქონდა შაჰის რეჟიმის დროს. შაჰის ხელისუფლება რეპრესიებში მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს ატარებდა, ხოლო ისლამური რესპუბლიკა კი რეპრესიებს უწყობს მთლიან სპექტრს: კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივისტებს.

ცხადია, რომ ირანში ადამინის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მართლაც სავალალო მდგომარეობაა, მაგარამ როგორ უნდა მოხდეს მდგომარეობის გაუმჯობესება თუკი

ხელისუფლება რეალურ ნაბიჯებს არ გადადგამს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და კვლავ უარს განაცხადებს გაეროსა თუ სხვა ორგანიზაციებთან სერიოზულ თანამშრომლობაზე, მიიჩნევს რა გაეროს ფუინქციადაკარგულ ორგანოდ და აშშ-სა და სხვა დასავლური ქვეყნების მიერ მართულ მექანიზმად?!

ა.განჯი თვლის, რომ არსებული რეჟიმისა და კონსტიტუციის პირობებში რაიმე პროგრესი დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების თვალსაზრისით წარმოუდგენელია, მაგრამ ამასთან ერთად მისთვის მიუღებელია ირანის წინააღმდეგ დადგენილი ეკონომიკური სანქციები და სამხედრო ოპერაციების დაწყება ამერიკის მხრიდან, რის შესახებაც აქტიურად საუბრობენ მთელს მსოფლიოში. მისი აზრით, ეს შემთხვევები ისევ და ისევ ირანელ ხალხს მოუტანს ზიანს, კვლავ მათი უფლებები შეილახება და ისედაც გაჭირვებულ ფენებს სიკვდილის პირას მიიყვანს. იგი თვლის, რომ საზოგადოებამ უნდა მოიკრიბოს ძალა, უნდა შეძლოს მობილიზაცია, მიმართოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებისათვის, უნდა მოხდეს არაეთიკური, უსამართლო და არამორალური კანონების საზოგადოდ განსჯა და განხილვა, ხოლო ხელისუფლება უნდა წავიდეს ოპოზიციასთან დიალოგზე. ირანში დემოკრატიის შეტანა არა უცხო ქვყნის მოვალეობაა, არამედ თვითონ ირანელმა ხალხმა უნდა შეიტანოს ამაში წლილი. განჯის აზრით, სანქციები ქვეყნის წინააღმდეგ კი არა უშუალოდ აჰმადი ნეჟადის წინააღმდეგ უნდა შეიმუშავონ. მხოლოდ ასე თუ შეძლებს ხალხი რაიმე პროგრესის მიღწევას.

ცხადია, რომ ირანში აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ადმაინის უფლებების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ განჯის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელება - მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება ყოვეგვარი სანქციების, სამხედრო ოპერაციებისა თუ სახელმწიფო გადატრიალების გარეშე - ჯერჯერობით შეუძლებელია. ამის საშუალებას თავად ირანში არსებული რეჟიმი არ იძლევა და არც ირანისა და დასავლეთის ურთიერთობა, რომელიც უკიდურესადაა დაძაბული და საომარი მოქმედებების პირამდეა მისული.

გამოყენებული მასალები:

1. http://persian.iranhumanrights.org/wp-content/uploads/SR_Report_14_Oct.pdf
2. http://english.farsnews.com/newstext.php?nn=9007273213
3. http://english.farsnews.com/newstext.php?nn=9007273851
4. http://www.hrw.org/news/2011/08/29/human-rights-issues-regarding-islamic-republic-iran
5. Akbar Ganji in conversation with Charles Taylor, http://blogs.ssrc.org/tif/2008/12/23/akbar-ganji-in-conversation-with-charles-taylor/
6. Letter to the free people of the world, http://freeganji.blogspot.com/2005/07/letter-to-free-people-of-world.html
7. http://bostonreview.net/BRwebonly/ganji.php
8. http://www.nybooks.com/articles/archives/2007/nov/22/the-us-and-the-plight-of-the-iranians/

სიმონ გურეშიძე

ვითარება ეგვიპტეში

ქვეყანაში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ „ძმები მუსლიმები“ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩდნენ. მოსახლეობის მხრიდან იგრძნობა მზარდი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ, რასაც თან ერთვის გართულებული ეკონომიკური მდგომარეობა. მართალია, „ძმებმა“ დამაჯერებლად გაიმარჯვეს პირველ თავისუფალ საპარლამენტო არჩევნებში და შემდგომ თავიანთი კანდიდატის პრეზიდენტად გაყვანაც შეძლეს, მაგრამ მოსახლეობაში სერიოზული იმედგაცრუების ნიშნები უკვე აშკარად იკვეთება. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მურსის დაპირებები პირველ ას დღეში არ განხორციელდა. გაიზარდა არასტაბილურობის შეგრძნება, ვერ გადაიჭრა საავტომობილო საცობების პრობლემა დედაქალაქში, მოსახლეობას საკმარისად არ მიეწოდება საწვავი და გაზი, არ არსებობს სუბსიდირებული პურის პროგრამა და დანაგვიანებულია ქუჩები, პრობლემებია ელექტროენერგიით მომარაგების საკითხებშიც. ცნობილია, რომ საწვავის და პროდუქტების სუბსიდირებას მიაქვს ქვეყნის ბიუჯეტის 25%. ინვესტორები ტოვებენ ქვეყნას, ხოლო ტურისტებს კი ეშინიათ ეგვიპტეში ჩასვლა, რაც დამატებით ეკონომიკურ პრობლემებს ქმნის ქვეყანაში.

კატარი, საუდის არაბეთი და ლიბია აპირებენ მნიშვნელოვნად გაუზარდონ ეგვიპტეს დახმარება, მაგრამ ეს თანხებიც მთლიანად იმოპრტის დაფინანსებას დასჭირდება. კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულწილად გამოსწორება შესაძლებელია მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი 4,8 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების მიღების შედეგად. თუმცა, ამ მხრივაც გარკვეულ დაბრკოლებები არსებობს. მსოფლიო სავალუტო ფონდმა მოითხოვა ბოლო ორი წლის განმავლობაში ეგვიპტის ხელისუფლების მიერ ეკონომიკურ გეგმასთან დაკავშირებით გაწეული სამუშაოების შეთანხმებათა დამტკიცება. საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს ართულებს ის გარემოება, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ პრეზიდენტი მურსი არ აპირებს დააწესოს გადასახადი გაყიდვებიდან შემოსული მოგებისგან.

საპარლამენტო არჩევნები იგეგმებოდა აპრილში და დასრულდებოდა ივნისში, მაგრამ ეს პროცესი ცოტა ხნით გადაიდო, რადგან სასამართლომ გადაწყვიტა შეეჩერებინა საარჩევნო პროცესი იმ მიზეზით, რომ უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საარჩევნო კანონს, რასაც შესაძლოა რამდენიმე კვირა დასჭირდეს.

უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოსა და შემდგომ ქვედა პალატის დათხოვნის შემდეგ, მურსიმ დროებითი საკანონმდებლო ძალაუფლება მიანიჭა პარლამენტის ზედა პალატას – „შურას საბჭოს“. ეს უფლებები უნდა გამოყენებულიყო კანონმდებლობის სასწრაფოდ მისაღებად, მაგრამ ისლამისტებმა, სალაფიტებმა და „მუსლიმმა ძმებმა“, ისარგებლეს თავიანთი 80%–იანი უმრავლესობით და მურსიმ მათი ზეწოლით დაიწყო შემდეგი საპარლამენტო არჩევნების კანონის ფორმირება; შეზღუდა უფლებები გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე, ხისტი კანონის მიღებით დააწესა არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებათა რეგულაციები და მიმართა სპეციალურ ზომებს „ძმების“ ორგანიზაციის ლეგალიზებისთვის – რომელიც აკრძალულია ჯერ კიდევ პრეზიდენტ გამალ აბდ ან–ნასერის დროიდან. ეს ნაბიჯი მან გადადგა იმიტომ, რომ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს საკონსულტაციო საბჭომ მოძრაობა არაკანონიერად გამოაცხადა და მისი დაშლის რეკომენდაცია გასცა.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ეგვიპტისთვის აღნიშნული დახმარების გამოყოფის შანსებს ამცირებს ისიც, რომ პრეზიდენტი გაურბის პოლიტიკურ მღელვარებებთან ერთად ხალხში სოციალური უკმაყოფილების გამოწვევას. ამის გამო, მკაცრი ეკონომიკური რეფორმების გატარების ნაცვლად ძალზე რბილ და ფრთხილ ნაბიჯებს დგამს. შედეგად ეგვიპტის

ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამა მსოფლიო სავალუტო ფონდმა არასაკმარისად საიმედოდ ჩათვალა.

გასული წლის მიწურულს მურსის მხრიდან მთლიანად საკანონმდებლო ძალაუფლების ხელში აღების მცდელობამ და საკუთარი თავისთვის სრული იმუნიტეტის მინიჭებამ მძაფრი ვნებათაღელვა გამოიწვია, რის გამოც იგი იძულებული გახდა უკან დაეხია. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი არ აპირებს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას და, გარდა ამისა, გამოკვეთილად ჩანს, რომ „ძმები“ არაფერს დაიშურებენ ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

ასეთი გაღრმავებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე ისრაელის პრესაში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიებში სამოქალაქო დაპირისპირების სცენარსაც არ გამორიცხავენ. თუმცა, მიმომხილველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არმია არ დაუშვებს მოვლენათა მსგავს განვითარებას და დროულად ჩაერთვება პროცესებში.

სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობა. პორტ საიდის ქუჩებში პოლიცია აღარ პატრულირებს და წესრიგის დაცვა არმიის პრეროგატივად იქცა. მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები სასამართლოსაც კი მიმართავენ პეტიციით, რათა პრეზიდენტ მურსის მაგივრად ქვეყანა მართოს თავდაცვის მინისტრმა *ფატაჰ ალ–სისი*. ოპოზიციურ კოალიცია „ხსნის ეროვნულ ფრონტში“ შემავალმა ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ 22 აპრილის საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტი დააანონსა. მათ მოითხოვეს არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარება და ნეიტრალური მთავრობის ფორმირება, რომელიც თავის მხრივ, დააკვირდება საარჩევნო პროცესს. პრეზიდენტის გადადგომის და „ძმების“ ხელისუფლებიდან წასვლის მოთხოვნით ყოველდღიურად იმართება აქციები კაიროსა და მთლიანად ქვეყნის ყველა ქალაქში, რასაც ხშირად მოსდევს შეტაკებები საპროტესტო აქციების მონაწილეებსა და „ძმების“ მხარდამჭერ დაჯგუფებებს შორის; რის შედეგადაც ბოლო თვეების განმავლობაში ათობით ადამიანი დაიღუპა და ათასობით დაშავდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ორივე მხარე მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილიონ ძალადობის კიდევ უფრო მეტი ესკალაცია.

ხელისუფლების მომხრეთა მიერ „ხსნის ეროვნული ფრონტის“ შესახებ კრიტიკული შეფასებები გაკეთდა. პარტია „თავისუფლება და სამართლის“ უმაღლესი ორგანოს და კალუბიის რაიონში პარტიის მდივნის *საიდ მუჰსინ რადის* გაცხადებით, აღნიშნულ ფრონტს გააჩნია ქვეყნის გარედან მიწოდებული სამოქმედო გეგმა და მიზნად ისახავს ეგვიპტის სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლას, ქაოსის გამოწვევას და პრეზიდენტის დამხობას. ხოლო ისინი, ვინც დაიღუპნენ შეტაკებების დროს პრეზიდენტის სასახლესთან, რადის განმარტებით არა წამებულები, არამედ საბოტაჟის ხელშემწყობები იყვნენ. „არჩევიდან 6 თვეში პრეზიდენტის მმართველობის დასრულება კატასტროფული სცენარია. ეს ნიშნავს სახალხო ნების წინააღმდეგ გალაშქრებას და ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის პროცესის უპატივცემულობას. ჩვენ, „ძმები მუსლიმები“, ვმუშაობთ ჩვენს გეგმაზე, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებას და აღმშენებლობას. არ ვაქცევთ ყურადღებას საბოტაჟისკენ მოწოდებებს. ყოველთვის ვესწრაფვით კონსენსუსს ნაციონალური დიალოგის მეშვეობით, რომელსაც ოპონენტები მუდმივად უარყოფენ. ეს კი მათი ჩანაფიქრების მაჩვენებელია, რომ ისინი ცდილობენ ძალუფლების უზურპაციას“, დაამატა რადიმ.

გარდა ამისა, ეგვიპტის მმართველი პარტიის ერთ–ერთი ლიდერისგან საინტერესო დამოკიდებულება გამომჟღავნდა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. პარტია „თავისუფლება და სამართლის“ მდივანმა ღარბიას პროვინციაში, ინჟინერმა *აჰმად ალ–იჯაზიმ* შეერთებული შტატები დაადანაშაულა ეგვიპტეში ძალადობის, ხულიგნობისა და ვანდალიზმის ხელშეწყობაში. სოციალურ ქსელ facebook–ის მეშვეობით მან გაავრცელა შემდეგი შინაარსის განცხადება: „არსებობს კავშირი ამერიკელი მაღალჩინოსნების ვიზიტებსა და შემდეგ ქვეყანაში აგორებულ ძალადობას, ქაოსსა და საბოტაჟს შორის... ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგ იფეთქა ძალადობის ტალღამ, ახლა კი... ჯონ კერის ვიზიტის შემდეგ იგივე განმეორდა“.

ხელისუფლებით უკმაყოფილება შეიმჩნევა საზოგადოების ყველა ფენაში. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სტუდენტური გაერთიანების არჩევნებში „ძმების“ კანდიდატებმა მარცხი განიცადეს. გარდა ამისა ჟურნალისტთა პროფკავშირის ექვსწევრიან საბჭოში არჩევნების გზით პირველ ადგილზე გავიდა *დია რავშანი*, პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. მან მიიღო ხმათა 50 პროცენტზე მეტი და გაუსწრო მის კონკურენტ *აბდ ალ–მუჰსინ სალამას*, მთავრობის მიერ კონტროლირებადი გაზეთის „ალ–აჰრამის“ მთავარ რედაქტორს. რავშანი, ისე როგორც უმეტესობა დანარჩენი ექვსი კანდიდატიდან, საზოგადოებისათვის ცნობილი არიან ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალისტებად. მართალია სალამა არ არის „ძმების“ წევრი, იგი მიჩნეულია მურსის რეჟიმის მხარდამჭერად. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ იყო მათი პირველი მარცხი. 25 იანვრის რევოლუციის შემდეგ, „ძმების“ მიერ მხარდაჭერილმა ოთხმა კანდიდატმა ვერ მოახერხა ადგილების დაკავება პროფკავშირის დირექტორთა საბჭოში.

გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა მოსახლეობის განწყობაშიც. უკვე აღარ არსებობს ქუჩაში გამოსვლის და პოლიციასთან დაპირისპირების შიში. პრეზიდენტი კი განაგრძობს თავისი ფავორიტების დანიშვნას ყველა იმ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე, რომლებითაც კონტროლდება ყოველივე – დაწყებული საზოგადოებრივი წესრიგიდან, დამთავრებული საკვები პროდუქტების გადანაწილებით.

სერიოზული პრობლემები შეიქმნა დემოკრატიის განვითარების კუთხითაც. გასული თვის ბოლოს პოპულარული ეგვიპტელი ტელეწამყვანი და სატირიკოსი *ბასიმ იუსუფი* პროკურატურის მიერ იქნა დაკითხული პრეზიდენტისა და ისლამის შეურაცხყოფის ბრალდებით. გენერალურმა პროკურორმა მისი დაპატიმრების ორდერი გასცა მას შემდეგ რაც პრეზიდენტის მხარდამჭერებმა ოთხი საჩივარი წარადგინეს იუსუფის წინააღმდეგ. დასავლელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს უკანასკნელი ნაბიჯი მაჩვენებელია „ძმები მუსლიმებით“ დაკომპლექტებული მთავრობის არადემკორატიულობისა და ეს კიდევ უფრო გააღრმავებს არაისლამისტური ოპოზიციური პარტიების უნდობლობას ქვეყნის პოლიტიკური და სასამართლო სისტემის მიმართ.

ბასიმ იუსუფის შემთხვევა არ არის ერთადერთი და მურსის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი ასი დღის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვის ინფორმაციის არაბული ქსელის თანახმად, პრეზიდენტის შეურაცხყოფასთან დაკავშირებით ოთხჯერ მეტი სარჩელი შევიდა ვიდრე ჰოსნი მუბარაქის ოცდაათწლიანი მმართველობის დროს. კეთდება პროგნოზები იმის შესახებაც, რომ „ძმები“ აღნიშნულ საკითხს სულ უფრო პოლიტიზებულს გახდიან ახალი საარჩევნო კანონის მიღების შემდეგ, რომლის თანახმადაც საარჩევნო სლოგანებში დაშვებული იქნება რელიგიური მოწოდებების შეტანა. ამასთან, ახალი კონსტიტუციის 44–ე მუხლი კრძალავს „ყველა რელიგიური მოციქულის და წინასწარმეტყველის შეურაცხყოფასა და უდიერად მოხსენიებას“. ამასთან, მურსი და პარლამენტი მუშაობდნენ, თუ როგორ ჩაეხშოთ მედიის კრიტიკა მმართველი ელიტის წინააღმდეგ. ინფორმაციის მინისტრად დაინიშნა „ძმების“ წევრი და სახელმწიფო მასმედიაზე კონტროლის გამოყენებით აწარმოებდნენ იმ ჟურნალისტებისა და რედაქტორების საწინააღმდეგო კამპანიას რომლებიც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ მთავრობის პოლიტიკის შესახებ; ასევე დაიწყეს ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ბიზნესმენების დევნა–შევიწროება, რათა მათ არ დაეფინანსებინათ ოპოზიციური მედია და პოლიტიკური პარტიები.

მიმდინარე პროცესების პარალალელურად ფემინისტურმა ორგანიზაციებმა პროტესტი გამოთქვეს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი არაერთგზისი ძალადობის და ამ ქმედებების წამახალისებელი ფეთვების (მუსლიმ–სამართალმცოდნე–ღვთისმეტყველთა მიერ გამოცემული რეგულაციები) წინააღმდეგ. ქალთა უფლებების შესახებ სპეციალური რეზოლუცია გამოსცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რაც „ძმებმა მუსლიმებმა“ თავიანთ ოფიციალურ გვერდზე გააკრიტიკეს რადგან ეს აღნიშნული რეზოლუცია „შარიათის კანონებში უხეშ ჩარევად“ მიიჩნიეს.

გამოყენებული მასალები:

http://www.egyptindependent.com/news/politics-violence?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://gate.ahram.org.eg/News/303596.aspx
http://www.almasryalyoum.com/node/1440106
http://gate.ahram.org.eg/News/303971.aspx
http://www.egyptindependent.com/news/ambulance-source-protester-dies-ettehadiya-clashes
http://gate.ahram.org.eg/News/304008.aspx
http://gate.ahram.org.eg/News/304021.aspx
http://www.egyptindependent.com/news/monday-s-papers-different-narratives-police-brutality-palace?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://www.egyptindependent.com/news/popular-current-member-dies-hospital-after-being-tortured?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://www.egyptindependent.com/news/brotherhood-figure-says-nsf-has-foreign-agenda-destroy-egypt?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://www.egyptindependent.com/news/women-s-council-condemns-treatment-female-protester?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://gate.ahram.org.eg/News/304755.aspx
http://gate.ahram.org.eg/News/304817.aspx
http://www.almasryalyoum.com/node/1488051
http://gate.ahram.org.eg/News/304831.aspx
http://www.almasryalyoum.com/node/1451936
http://gate.ahram.org.eg/News/306058.aspx
http://www.almasryalyoum.com/node/1453991
http://gate.ahram.org.eg/News/306073.aspx
http://www.reuters.com/article/2013/02/07/us-egypt-crisis-idUSBRE9160JP20130207
http://tahrirnews.com/news/view.aspx?cdate=07022013&id=0913cfb1-dfea-4188-8363-8dfd747d5a20&utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://gate.ahram.org.eg/News/306074.aspx
http://www.egyptindependent.com/news/sunny-side-politics-how-being-positive-can-help-you-if-not-revolution
http://www.almasryalyoum.com/node/1456841
http://www.almasryalyoum.com/node/1455456
http://www.egyptindependent.com/news/egyptian-islamic-jihad-mufti-supports-killing-opposition-members?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://www.almasryalyoum.com/node/1458171
http://www.egyptindependent.com/news/fjp-launch-new-political-front?utm_source=dlvr.it&utm_medium=facebook
http://www.aawsat.net/2013/02/article55290864
http://www.almasryalyoum.com/node/1458171
http://www.egyptindependent.com/news/update-one-killed-211-injured-nationwide-clashes
http://www.egyptindependent.com/news/jama-al-islamiya-seeks-islamist-alliance-outside-main-parties
http://gate.ahram.org.eg/News/311317.aspx
http://www.haaretz.com/news/middle-east/egyptian-court-allows-policemen-to-grow-islamic-beards-1.504766
http://www.nytimes.com/2013/02/06/world/middleeast/many-egyptians-fight-on-streets-to-restore-revolutions-goals.html?hp&_r=0
http://www.egyptindependent.com/news/supreme-administrative-court-body-urges-dissolution-brotherhood
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2013/03/20133318332892628.html
http://www.jpost.com/Middle-East/Foundering-in-quicksand-Is-there-hope-for-Egypt-308374
http://gate.ahram.org.eg/News/319648.aspx
http://www.kalemjournal.com/News/1470-egypt_hits_problems_over_imf_loan.html

ისრაელ–პალესტინელი არაბების კონფლიქტი ასახვა ისრაელის და არაბული ქვეყნების პრესაში

2013 წლის იანვრის დასაწყისში, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლევითმა ცენტრმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის თანახმადაც ეგვიპტის ეკონომიკური კრიზისი ისრაელის უსაფრთხოებისთვის დადებითი მოვლენა იყო და თელ–ავივისთვის დამცავი ფარის ფუნქციას ასრულებდა; რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეგვიპტის პრეზიდენტისა და მთავრობისათვის მთავარ ინტერესს რეგიონში სტაბილური გარემოს შექმნა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეაჩერონ ჰამასის სწრაფვა ისრაელთან ომისკენ. გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, მიმდინარე თვის დასაწყისში ჰამასმა განაცხადა, რომ განაგრძობდა მუშაობას ეგვიპტის მხარესთან ერთად, რათა საერთო საზღვარზე აეშენებიათ სამრეწველო და კომერციული ბაზარი რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებდა ღაზას სექტორის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამავე ორგანიზაციის განცხადებით, ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო და ცდილობდნენ საზღვარზე შეექმნათ ერთ მილიონ კვადრატულ მეტრიანი სივრცე თავისუფალი ვაჭრობის საწარმოებლად, თუმცა ეგვიპტე უარყოფდა ამ ფაქტს.

ანალიტიკოსმა ილი ბერდენშტეინმა ებრაულ გაზეთ „მაარიფისთვის“ მომზადებულ მიმოხილვაში დამატებით განიხილა ისრაელთან დაკავშირებული რეგიონალური საკითხები და მიმდინარე პროცესები.

ირანსა და „ჰიზბალლაჰთან“ დაკავშირებით, იგი ამტკიცებდა, რომ სირიაში მიმდინარე რევოლუციურმა პროცესებმა მოშალა ისრაელის წინააღმდეგ ირანის, ლიბანის და სირიის გაერთიანებით არსებული „ბოროტების ღერძი“. მისივე განმარტებით, ირანი ეხმარება სირიის სამთავრობო საჯარისო ნაწილებს, ამ შენაერთებს კი დღესდღეობით აჯანყებულებთან გამკლავება უწევთ და შესაბამისად, სხვა ამოცანების შესრულება მათ არ შეუძლიათ, ეს კი აიოლებს ისრაელის მდგომარეობას. გარდა ამისა, „ჰიზბალლაჰიც“ ცდილობს შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა და მის ინტერესებშიც არ შედის სიტუაციის დესტაბილიზაცია, რაც თავისთავად დადებითად აისახება ისრაელზე.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ისრაელის პრესის ყურადღება მიიპყრო აშშ–ის ახალი თავდაცვის მდივნის, ყოფილი რესპუბლიკელი სენატორის, ჩაკ ჰეიგელის შესაძლო დანიშვნის ფაქტმაც. პრეზიდენტ ობამას არჩევანს წინ უძღვოდა სენატში არსებული დაპირისპირება იმის შესახებ, თუ რამდენად უჭერდა მხარს ჰეიგელი აშშ-ისრაელის ალიანსს. მას ასევე უჩიოდნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დამცველები და აცხადებდნენ, რომ ჰეიგელი ადრინდელ გამონათქვამებში უპატივცემულობას გამოხატავდა მათ მიმართ. 1998 წელს მან განაცხადა რომ აშშ–ის ელჩი არ შეიძლება იყოს გეი. ამის გამო, ახლახანს მას ბოდიშის მოხდაც მოუწია. ბეჭდურ მედიაში ასევე საუბარი იყო იმაზეც, რომ მის კანდიდატურას შეიძლება წინააღმდეგობა მოჰყოლოდა ზოგიერთი ამერიკელი ებრაელი ლიდერისგან, რადგან ის (როგორც ნებრასკას შტატის ყოფილი რესპუბლიკელი სენატორი (მან სენატი დატოვა 2008 წელს), მხარს არ უჭერდა აშშ–ის სანქციებს ირანის წინააღმდეგ და ღიად საუბრობდა ვაშინგტონში არსებული „ებრაული ლობის“ გადაჭარბებული გავლენის შესახებ. ეს კომენტარები გამოაქვეყნა ყოფილმა ამერიკელმა დიპლომატმა აარონ დეივიდ მილერმა თავის 2008 წელს გამოცემულ წიგნში. „ებრაული ლობი ბევრ ადამიანს აშინებს აქ“, – ამბობდა ჰეიგელი. 2001 წელს მან და კიდევ ერთმა სენატორმა მხარი არ დაუჭირეს ირანის და ლიბიის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს; 2007 წელს ეწინააღმდეგებოდა ირანის რევოლუციიის გუშაგთა

კორპუსის აშშ–ის მიერ შედგენილი ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანას; 2008 წელს კვლავ წინააღმდეგი იყო ირანთან დაკავშირებული სანქციების შემოღებისადმი. ამის გარდა, მან 2000 წელს, კიდევ სამ სენატორთან ერთად, ხელი არ მოაწერა ისრაელის მხარდამჭერ წერილს მეორე „ინთიფადას“ (პალესტინური წინააღმდეგობა) დროს; 2006 წელს იგი იყო ერთ–ერთი 12 სენატორთაგან, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს წერილს, რომლის თანახმადაც ევროკავშირს „ჰიზბალლაჰი“ უნდა შეეყვანა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში; ხოლო 2009 წელს ხელი მოაწერა წერილს, რომლითაც არწმუნებდნენ ობამას მოლაპარაკებები ეწარმოებინა „ჰამასთან“. ოდნავ მოგვიანებით, მან „ლინკოლნ ჯორნალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდდეგება ისრაელს. ხოლო ზოგიერთ წერილს და რეზოლუციას იმიტომ არ აწერდა ხელს, რომ ისინი კონტრპროდუქტიულები იყო და არ იძლეოდა პრობლემის გადაჭრის გზას. „ჩვენი მიზანია დავეხმაროთ პალესტინელებსა და ებრაელებს, რათა მოახერხონ მშვიდობიანი თანაცხოვრება. ისრაელი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია და არცერთ მის საზღვარზე სიმშვიდე არ არის, ხოლო ჩვენ კი უნდა დავეხმაროთ ამ ქვეყანას რათა არ მოექცეს იზოლაციაში. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ირანი ტერორიზმის დაფინანსების ერთ–ერთი წყაროა, მაგრამ სანქციებს არ ვუჭერდი მხარს იმიტომ, რომ როდესაც ამას მიმართავს მხოლოდ აშშ, ეს მეთოდები არ მუშაობს და იზოლაციაში აქცევს შეერთებულ შტატებს. გაეროს სანქციები მუშაობს, ხოლო ჩვენს მიერ დაწესებული - არა“.

აღნიშნული პროცესების პარალელურად, მომდევნო დღეებში არაბულმა წყაროებმა, გამოცემა „ვორლდ ტრიბუნზე“ დაყრდნობით, გაარცელეს შემდეგი სახის ინფორმაცია: ირანი ღიად დაპირდა ჰამასს, რომ გადასცემდა შორი მოქმედების რაკეტებს, ხოლო ამერიკელი ჩინოვნიკები კი აცხადებენ, რომ ამ რაკეტებს შეუძლიათ მიაღწიონ ნებისმიერ წერტილამდე ისრაელის ტერიტორიაზე. გასული წლის ნოემბერში ჰამას–ისრაელის 9 დღიანი დაპირისპირების დროს, ჰამასმა და „ისლამურმა ჯიჰადმა“ ისრაელის მიმართულებით გაისროლეს ირანული წარმოების ორსაფეხურიანი „ფაჯრ–5“–ის ტიპის რაკეტა, რომლის მოქმედების რადიუსიც 75 კილომეტრს აღწევს და ასევე გამოიყენა „ფაჯრ–3“–იც, რომელიც 43–კმ–მდე მოქმედებს.

მაჰი ალ–დინ საჯიდიმ, ირანელმა ანალიტიკოსმა სტრატეგიულ საკითხებში, განაცხადა: „რაკეტებმა გააძლიერა ჰამასის ძალა ღაზას სექტორში“. ყოველივე ამასთან ერთად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ზოგიერთი ამერიკელი ანონიმი ჩინოსანის განცხადებით, „ღაზაში განთავსებული რაკეტები შეძლებენ გაარღვიონ ისრაელის საჰაერო თავდაცვის ახალი სისტემა „რკინის გუმბათი“ და იქვე მინიშნებული იყო, რომ გასული წლის ნოემბერში ამავე სისტემამ ვერ გაანადგურა ირანული უპილოტო თვითმფრინავები. სრულიად საპირისპირო ინფორმაცია გამოაქვეყნა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შემსწავლელმა ვაშინგტონის ინსტიტუტმა. გასული წლის ჰამასი-ისრაელის დაპირისპირებისას ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემამ წარმატებით გაართვა თავი ყველა გამოწვევას და ჩანს, რომ ირანთან სავარაუდო დაპირისპირების შემთხვევაში შეძლებს ქვეყნის დაცვას მათი რაკეტებისგან.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ოდნავ მოგვიანებით დამატებითი ინფორმაციები გაჩნდა ჰამასთან დაკავშირებით არაბულ და ებრაულ პრესაში. ლონდონში გამომავალმა არაბულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ალ–კუდს ალ–არაბიმ“ გამოაქვეყნა, რომ ჰამასის ლიდერი *ხალედ მაშაალი* ეძებდა გზებს რათა დაეკავებინა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტი, რომელსაც ამჟამად სათავეში უდგას ავტონომიის მეთაური *მაჰმუდ აბასი*. გამოცემის თანახმად, მაშაალის სურვილი პგო–ს მეთაურად გახდომაზე იქიდან ჩანდა,

რომ მას არ წარუდგენია თავის კანდიდატურა ჰამასის პოლიტბიუროს თავმჯდომარის ხელახალ არჩევნებზე.

გამოცემის თანახმად, ზოგიერთი არაბული ქვეყანა, იორდანიისა და კატარის თაოსნობით, ითხოვდნენ მაშაალს დაეკავებინა პგო–ს თავმჯდომარის პოსტი და ამ გზით მიეღწიათ იმისათვის, რომ ჰამასს ხელი მოეწერა ოსლოს შეთანხმებაზე და ეცნო ისრაელი. მაშაალისა და იორდანიის მეფის *აბდ ალ–ლაჰის* შეხვედრა მიზნად ისახავდა სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას, რომელმაც თავის მხრივ უნდა მოიტანოს პალესტინის სახელმწიფოს შექმნა 1967 წელს აღიარებულ საზღვრებში. მაშაალი და ჰამასის დანარჩენი ლიდერები იორდანიიდან გააძევეს და ჩამოართვეს ამ ქვეყნის მოქალაქეობა 10 წელზე მეტი ხნის წინ. ბოლო 18 თვის განმავლობაში, იორდანიამ კვლავ დიაწყო ურთიერთობების აღდგენა ამ ორგანიზაციასთან და ნება მისცა ხალედს და რამდენიმე მაღალ ჩინოსანს დაახლოებით სამჯერ შესულიყვნენ სამეფოს ტერიტორიაზე. ურთიერთობების აღდგენა მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ ისლამისტურმა ორგანიზაციამ დადო პირობა, რომ თავს შეიკავებდა და არ ჩაერეოდა იორდანიის სამეფოს შიდა საქმეებში.

განვითარებული მოვლენების პარალელურად, ისრაელში წინასაარჩევნო პროცესები მიმდინარეობდა, რომლის ფონზეც ქვეყნის ყოფილმა პრემიერ–მინისტრმა *ეჰუდ ოლმერტმა* დაადანაშაულა თავის ამჟამინდელი კოლეგა *ბენიამინ ნეთანიაჰუ* იმაში, რომ იგი თავის ქცევებით საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას და ისრაელს აყენებდა ვაშინგტონთან კონფრონტაციის რეჟიმში. „შედის კი ჩვენს ინტერესებში დაპირისპირება მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ადამიანთან? ვინ აწარმებს თვითმფრინავებს? ლიკუდის ცენტრალური კომიტეტის წევრები თუ აშშ–ის პრეზიდენტი?“ – დასვა კითხვები ოლმერტმა ჰაიფას უნივერსიტეტის მიერ გამართულ ბიზნეს–ფორუმის შემდგომ კონფერენციაზე. მისი კომენტარები მოჰყვა ცოტა ხნით ადრე გაკეთებულ ობამას განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო: „ისრაელმა არ იცის, რა შეეასტყისება მის ინტერესებს და ნეთანიაჰუს მიჰყავდა ისრაელი საერთაშორისო იზოლაციისაკენ“. ოლმერტის კომენტარებს ნეთანიაჰუმ წერილით უპასუხა: „ჩვენ ვიცით, როგორ ვიზრუნოთ ეროვნულ ინტერესებზე და როგორ გავუმკლავდეთ საერთაშორისო ზეწოლას“. ყოფილმა პრემიერმა ხელისუფლება ასევე დაადანაშაულა იმაში, რომ ისინი უარს ამბობდნენ მშვიდობაზე. არ იღებდნენ მონაწილეობას პროცესში და არ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს პალესტინაში არსებულ ზომიერ ძალებთან. „ხელისუფლებას არ სურს მშვიდობა. სხვანაირად რამის თქმა შეუძლებელია“–დაამატა მან. ობამას განცხადების გარდა, ოლმერტის კომენტარები ასევე მოჰყვა ერთ–ერთ სატელევიზიო არხზე ყოფილი და მოქმედი პრემიერების დაპირისპირებას, რომლის დროსაც ოლმერტმა ნეთანიაჰუ დაადანაშაულა ირანის ბირთვული პროგრამის საწინააღმდეგო გეგმის შედგენისთვის მილიონობით შეკელის გადახარჯვაში.

იანვრის ბოლო რიცხვებში ებრაულ პრესაში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა შემდეგი სახის ინფორმაცია: მოსკოვმა გააფრთხილა ისრაელი და დასავლეთი თავი შეეკავებინათ ირანის ბირთვულ ობიექტებზე იერიშების მიტანისგან და პარალელურად მოუწოდა ირანს ეთანამშრომლა ხსენებული ობიექტების ინსპექტირების საკითხებში დაინტერესებულ მხარეებთან. „ირანის ბირთვული ობიექტების წინააღმდეგ დარტყმების ორგანიზება და შესრულება ძალზე საშიში იდეაა“ – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თავის ყოველწლიურ პრეს–კონფერენციაზე გამოსვლისას. ლავროვის განცხადებებს წინ უძღვოდა ისრაელის არჩევნებში გამარჯვებული პრემიერის ნეთანიაჰუს განცხადება, რომელშიც მან გარკვეული მინიშნებები გააკეთა და თქვა, რომ არ

მისცემდა ირანს საშუალებას შეექმნა ბირთვული იარაღი და ეს იქნებოდა ისრაელის ახალი მთავრობის მთავარი ამოცანა.

ქნესეთის არჩევნები ჩატარდა ძლიერი მემარჯვენე განწყობის ფონზე, რომელსაც თან ერთვოდა ანტიპალესტინური რიტორიკა.

ქნესეთის არჩევნებს პოსტის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოეხმაურა ა.შ.შ.–ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ეს არჩევნები კარს გაუხსნიდა პალესტინა-ისრაელის პირდაპირ მოლაპარაკებებს, რომელიც გაყინული იყო ბოლო ორი წლის განმავლობაში და ასევე სამშვიდობო პროცესის აღდგენასაც შეუწყობდა ხელს; ხოლო რაც შეეხება ჰამასს, ამ ორგანიზაციაზე მან შემდეგი შეფასება გააკეთა: „ისინი არ ზრუნავენ დემოკრატიაზე“. კლინტონმა ასევე განმარტა, რომ ერთობლივი გზებით მოინახება საშუალებები რომ მიიღონ პალესტინელებმა დამსახურებული განვითარება და მშვიდობა, ხოლო ისრაელმა მშვიდობა და სტაბილურობა. „მე მჯერა რომ ეს შესაძლებელია. პრეზიდენტი ობამა და ჩემი შემცვლელი ქერი ამისათვის ყველაფერს გააკეთებენ“ – დაამატა მან. იგი ასევე შეეხო ფათჰისა და ჰამასის შერიგების ფაქტსაც და განაცხადა, რომ „ჰამასი არ არის დაინტერესებული დემოკრატიით და კვლავ შეიარაღებული წინააღმდეგობის მომხრედ რჩება. თუ ეს ორგანიზაცია უარს იტყვის ძალადობაზე და გადაიქცევა ისეთ პოლიტიკურ გუნდად როგორც ფათჰია, მაშინ მათთან ერთადაც მივუსხდებით მოლაპარაკებების მაგიდას“.

დამუშავებული მასალები:

http://gate.ahram.org.eg/UI/Front/Inner.aspx?NewsContentID=291186
http://www.jpost.com/International/Article.aspx?id=298445
http://www.jpost.com/MiddleEast/Article.aspx?id=298491
http://gate.ahram.org.eg/News/292204.aspx
http://gate.ahram.org.eg/News/292246.aspx
http://www.jpost.com/International/Article.aspx?id=298753
http://www.almasryalyoum.com/node/1404161
http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/missile-defense-from-gaza-to-the-gulf
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=299631
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2013/01/201312175057346876.html
http://www.jpost.com/DiplomacyAndPolitics/Article.aspx?id=299915
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2013/01/2013121104631308979.html
http://gate.ahram.org.eg/News/292204.aspx
http://gate.ahram.org.eg/News/299553.aspx
http://www.jpost.com/IranianThreat/News/Article.aspx?id=300652
http://www.aljazeera.net/news/pages/d2c18003-d1eb-4032-9e26-1e9e78c89b89?GoogleStatID=1
http://lenta.ru/news/2013/01/23/claim/
http://www.jpost.com/MiddleEast/Article.aspx?id=301391
http://www.almasryalyoum.com/node/1431896

ინგა ინასარიძე

საპროტესტო მოძრაობა ბაჰრეინში

პოლიტიკური თავისუფლების, სოციალური თანასწორობისა და კორუფციის აღმოფხვრის მოთხოვნით ათასობით ბაჰრეინელი უკვე 2 წელია ანტისახელისუფლებო გამოსვლებს მართავს. ამბოხებამ, რომელიც 2011 წლის 14 თებერვალს დაიწყო, ახალი სიმძაფრით თავი რამდენიმე თვის წინ იჩინა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ბაჰრეინის შიდაპოლიტიკური მოვლენები ხშირად გარე ძალების დაინტერესების სფერო ხდება. შიიტი მოსახლეობის მიერ დაწყებული მოძრაობის ხელშეწყობაში ოფიციალური ბაჰრეინი ირანს ადანაშაულებს. მაშინ როცა ოპოზიცია უკმაყოფილებას გამოთქვამს საუდის არაბეთისა და გაერთიანებული საამიროების ჩარევას მათი ქვეყნის საშინაო საქმეებში. ვითარების დარეგულირების მიზნით, წლის დასაწყისში მეფე ჰამად ბინ ისა ალ-ხალიფა ეროვნული თანხმობის ინიციატივით გამოვიდა.

საპროტესტო გამოსვლები არაბულ სამყაროში თუნისიდან დაიწყო და შემდგომ რევოლუციური განწყობა სხვა არაბულ ქვეყნებში გავრცელდა. ბაჰრეინში ეროვნული მღელვარება 14 თებერვალს დაიწყო. შიიტი ამბოხებულები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის (ბაჰრეინში დაბადებული) 70% შეადგენენ, სუნიტი მმართველებისგან თავიანთი უფლებების გაზრდასა და პოლიტიკური რეფორმების გატარებას მოითხოვდნენ. ცოტა ხანში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ სიტუაციის სტაბილიზირებისთვის მეფემ დახმარება მეზობელ ქვეყნებს სთხოვა. 2011 წლის მარტში საუდის არაბეთმა და გაერთიანებულმა საამიროებმა ბაჰრეინში დემონსტრანტების დასაშლელად თავიანთი ჯარები შეიყვანეს. მეფემ კი სამთვიანი საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ გააკეთა განცხადება. უსაფრთოხების დაცვის მიზნით, აიკრძალა ნებისმიერ სახის აქციებისა და მიტინგების ჩატარება. ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი დააპატიმრეს. ამბოხებულების შეკრების ადგილს, „მარგალიტის მოედანს“ (რომელსაც მეორე თაჰრირის მოედანსაც უწოდებდნენ) დემონტაჟი გაუკეთდა და მთლიანად მავთულხლართებითა და ბეტონის ბარიკადებით შემოსაზღვრეს.

მოგვიანებით, დემონსტრაციების აკრძალვის საკითხს გამოეხმაურა გაეროც. გენერალურმა მდივანმა ხელისუფლებას მიღებული გადაწყვეტების შეცვლისაკენ მოუწოდა. პან გი მუნის განცხადებით, ბაჰრეინის მთავრობის მიერ დემონსტაციების გამართვის აკრძალვა ქვეყანაში მღელვარების მხოლოდ გამძაფრებას შეუწყობს ხელს.

საპროტესო მოძრაობას სათავეში ეროვნული ერთობის ყველაზე გავლენიანი შიიტური ორგანიზაცია “ალ-ვაფექი” უდგას, რომელსაც *ალი სალმანა* ხელმძღვანელობს. რელიგიური დანაყოფების წინააღმდეგობა ბაჰრეინში იქამდეც მძაფრად შეინიშნებოდა, სანამ ათასობით ადამიანი გასულ წელს ქუჩებში გამოვიდოდა. შიიტები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ ჩივიან, რომ არათანაბარ პირობებში იმყოფებიან სამსახურის მიღების, ბინით უზრუნველყოფის თუ სამედიცინო დაზღვევის სფეროში. მმართველი სუნიტი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნაც ამ მიზეზით არის განპირობებული. ხელისუფლება ყველა ბრალდებას უარყოფს. ალ–ხალიფას ოჯახი 1.2 მილიონიან ქვეყანას მართავს, მოსახლეობის ნახევარს უცხოელი (არაბაჰრეინელი) მომუშავეები შეადგენენ. შიიტების განცხადებით, სუნიტებისთვს მოქალაქეობის გარანტირებითა და უსაფრთხოების აპარატში სამუშაოს შედარებით ადვილად მიღებით, ქვეყნის მმართველები ცდილობენ დემოგრაფიული ბალანსი შეცვალონ. ახალი კონსტიტუციის მიღებისა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამ ერთგვარად მოახერხა შიიტების უკმაყოფილების დროებით შემცირება. მაგრამ ქვედა ასამბლეის უფლებამოსილება ძლიერი შურის/საკონსულტაციო საბჭოს მიერაა კომპენსირებული, რომელსაც მეფე ნიშნავს. ეს კიდევ ერთი უკმაყოფილების მიზეზია.

მოლაპარაკებების პირველი მცდელობა 2011 წელს უშედეგოდ დასრულდა. ქვეყანაში თებერვალ-მარტში მომხდარი მოვლენების შესასწავლად სპეციალურად შექმნილი

დამოუკიდებელი კომისიის მოხსენებაში მკაფიოდ იყო მითითებული სახელმწიფო უშიშროების ძალებისა და პოლიციის თანამშრომლების ბრალეულობა აჯანყების ჩახშობის მცდელობისას. მეფე *ჰამად ბინ ისა ალ-ხალიფამ* კომისიის რეკომენდაციები მიიღო და პირობა დადო, რომ აუცილებლად შეასრულებდა თითოეულ მათგანს. რეკომენდაციები ითვალისწინებდა პოლიტიკური პროცესების გაუმჯობესებას, გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურებში აღდგენას, ზოგიერთი რელიგიურ საიტის აღდგენას და შეტაკებების შედეგად დაზარალებულთა ოჯახებისთვის საკომპენსაციო ფონდის შექმნას. ამასთან მეფემ განაცადა, რომ დასჯიდა ყველა პასუხისმგებელ პირს, ვისაც ბრალი მიუძღოდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში. დაპირებებს სკეპტიკურად უყურებდნენ ოპოზიციური ძალები. ამიტომ, დაწყებული მოლაპარაკებების გაგრძელებაზე ალ-ვაფექის დელეგატებმა მალევე განაცხადეს უარი. მათი თქმით, მთავრობას არ სურდა პოლიტიკურ რეფორმებზე დისკუსია და რეალური ნაბიჯების გადადგმა. მას შემდეგ ურთიერთბრალდებები ორივე მხრიდან სულ უფრო ინტენსიური გახდა.

მომდევნო, ყველაზე მძაფრი გამოსვლები გასული წლის გაზაფხულზე დაფიქსირდა, როდესაც ქვეყანაში "ფორმულა 1"-ის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი ტარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო რბოლის გამართვას ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა, მან მაინც წარმატებით ჩაიარა. თუმცა უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებითა და დედაქალაქის ქუჩებში საპროტესტო აქციების თანხლებით. აქციების დროს დაახლოებით 80 აქტივისტი იქნა დაპატიმრებული, რომლებიც ანტისამთავრობო გამოსვლების მოწყობას ცდილობდნენ. ამბოხებულები ამჯერადაც ხელისუფლების შეცვლას და თავიანთი უფლებების გაზრდას ითხოვდნენ.

ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ 1 თვით ადრე სამეფოში კვლავ განახლდა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები. მიზეზი სწორედ ხელისუფლების მიერ გრან-პრის ჩატარების გადაწყვეტილება გახდა.

თავის მხრივ, ნათელი იყო ხელისუფლების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზიც. ქვეყანას, რომელიც 1 წლით ადრე სამოქალაქო ომის ზღვარზე იმყოფებოდა, სჭირდებოდა ისეთი კატალიზატორი, როგორიცაა „ფორმულა 1", რათა აღედგინა წესრიგი და პირველ რიგში, ის სტატუსი, რაც მანამდე ჰქონდა. გასული წლის საპროტესტო გამოსვლებმა და სადამსჯელო ღონისძიებებმა ბაჰრეინის მთავარი უპირატესობა – ყველაზე მოსახერხებელი, სტაბილური და უსაფრთხო ბიზსნეს მდებარეობა, ძალზე შეარყია.

ხელისუფლებამ შიიტი მოსახლეობა ქვეყანაში ახალი კონფლიქტის გაღვივებაში დაადანაშაულა. მთავრობა რბოლას თავიდანვე აფასებდა, როგორც გაყოფილი საზოგადოების შერიგების საწყის მოვლენას. ისინი აფრთხილებდნენ ოპოზიციას, რომ გრან–პრის დღეებში თავი შეეკავებინათ დივერსიისა ან დემონსტრაციებისგან და ხელი შეეწყოთ საერთაშორსო ჩემპიონატის ჩატარებისთვის, რომელიც ათასობით ადამიანს და მილიონობით ტელემიმომხილველს მოიზიდავს კუნძულზე.

შემდგომში ვითარების დასალაგებლად, მკაცრი ადმინისტრაციული აკრძალვების გარდა, ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზეც წავიდა. მაგალითად, გაზარდეს პარლამენტის უფლებამოსილება. მაგრამ ვერც აკრძალვებმა და ვერ ამ კომპრომისმა ვერ შეძლო ამბოხებასთან გამკლავება. ოპოზიცია უფრო მეტს მოითხოვდა. ხელისუფლების მიერ გატარებული დათმობები მათ "ფორმალობად" შეაფასეს, აკრძალვები კი - "დაუშვებლად".

თავის მხრივ, ბრალდებები აქვს ოპოზიციის მიმართ ხელისუფლებასაც. ოფიციალური ბაჰრეინი მიმდინარე საპროტესტო მოძრაობას ირანის შიიტურ ძალებთან აკავშირებს. ოპოზიცია ამ ბრალდებას უარყოფს. ბრალდებები რელიგიურ დაპირისპირებამდე მიდის და კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას. 2011 წლის აპრილში ბაჰრეინმა ირანელი დიპლომატი გააძევა მისი საეჭვო ჯაშუშური საქმიანობის გამო. მანამდე დეკემბერის დასაწყისში მანამაში ბრიტანეთის საელჩოსთან ახლოს მომხდარი ტერაქტიც საეჭვოდ დაემთხვა ბრიტანეთსა და ირანს შორის უთანხმოებას თეირანის ატომურ პროგრამასთან დაკავშირებით. ამბოხებულების ირანთან კავშირის ეჭვს სავარაუდოდ ბაჰრეინს მისი წარსული გამოცდილებაც უმყარებს.

ირანის ისლამური რევოლუციის ექსპორტის შესახებ ხომეინის მოწოდებამ ბაჰრეინის შიიტ მოსახლეობაში დიდი გამოხმაურება პოვა. 1981 წელს კი სამეფოში შეთქმულება გამომჟღავნდა, რომლის უკანაც სწორედ ხომეინის მომხრე ბაჰრეინელი შიიტები იდგნენ. 1982-84 წლებში კი ქვეყანას ექსტრემისტულ შიიტურ ორგანიზაციებთან მოუხდა ბრძოლა.

გასული წლის მაისში 8 ეჭვმიტანილი დააკავეს, რომელთაც ბრალი ჯაშუშობაში ედებოდათ. 27 მაისს სასამართლომ 6 მათგანს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათ ბრალად ედებათ ირანის სასარგებლოდ ჯაშუშობა, ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსთან და ბასიჯის მილიციასთან კავშირი და რიგ ობიექტებზე დაგეგმილი თავდასხმები, მათ შორის საუდის არაბეთის საელჩოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე.

ბაჰრეინის ღია ბრალდებებს გამოეხმაურა ირანიც. საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად უარყო ირანის ნებისმიერი სახის კავშირი ბაჰრეინში არსებულ ვითარებასთან და მმართველი ხელისუფლების გადატრიალების მცდელობასთან.

მეჰრის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ირანის საგარეო უწყების პრეს-სპიკერის, რამინ მეჰმანპარასთის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ირანი არ ერევა ბაჰრეინის საშინაო საქმეებში... პრეს-სპიკერი თავის განცხადებაში ასევე მოუწოდებს ბაჰრეინს სხვების დადანაშაულების ნაცვლად, მეტი ყურადღება დაუთმოს მისი ხალხის მოთხოვნებს.

შიიტური ირანის გავლენის შემცირების მიზნით, საუდის არაბეთის მეფემ *აბდულა ბინ აბდულ აზიზ ას-საუდმა* ინიციატივაც კი წამოაყენა, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას სპარსეთის ყურის 6 მონარქიის დაზვერვისა და საშინაო უსაფრთხოების საერთო სისტემა. საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცმა *სალმან ბენ აბდელ აზიზ საუდის* განცხადება დაადასტურა ბაჰრეინის მეფემაც. როგორც მან განაცხადა, სამიტის მონაწილეები ამ გზით შეეცდებიან უზრუნველყონ ყურის არაბული მონარქიების უსაფრთხოება.

ირანის გარდა, ბაჰრეინის მთავრობას ეჭვი აქვს ოპოზიციის „ჰეზბოლასთან“ კავშირის არსებობაზეც. 28 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, „ჰეზბოლა“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარეს. როგორც სამეფოში განაცხადეს, გადაწყვეტილება „კოორდინირების“ შედეგად იქნა მიღებული და ანალოგიური ზომები მალე სხვა არაბულ მონარქიებშიც იქნება მიღებული.

ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ სამეფოს სუნიტი მმართველები სერიოზულ წნეხს განიცდიან მათი დასავლელი მოკავშირეებისგან. ბაჰრეინის ტერიტორიაზე დისლოცირებულია აშშ–ის მე–5 საზღვაო ფლოტი და ამასთან, იგი პენტაგონის მთავარ რეგიონულ საპირწონეს წარმოადგენს ირანთან მიმართებაში. სამხედრო ურთორთობების გარდა, აშშ-სა და ბაჰრეინი თანამშრომლობა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებასაც მოიცავს. გასულ წელს ობამას ადმინისტრაციამ ბაჰრენისთვის სამხედრო შეიარაღების მიყიდვის შეჩერებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, თუმცა 7 თვეში სავაჭრო ურთერთობები კვალავ აღდგა. [1]

ამერიკის მხიდან სამხედრო შიეარაღების მოწოდებას აპროტესტებდნენ ამბოხებულები, რომლებმაც შიიტების სოფელში ამერიკის დროშები დაწვეს. საპროტესტო ბანერებზე წარწერებს კი ინგლისურ ენაზეც აკეთებდნენ, რათა ამერიკელებს შეძლებოდათ წაკითხვა: „ამერიკა, შეწყვიტე მკვლელების შეიარაღება“.

---

[1] როდესაც ამერიკამ ბაჰრეინისთვის იარაღის კვლავ მიყიდვის შესახებ გააკეთა განცხადება, იქვე დასძინა, რომ მათ რიგში არ იქნებოდა ისეთი ტიპის იარაღი, როგორიცაა ცრემლსადენი გაზი ან სხვა მსგავსი ნივთები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასების გასაკონტროლებლად . როგორც ოფიციალური განცხადებაში იყო აღნიშნული სამხედრო სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა აუცილებელლობას წარმოადგენდა. ამერიკული მხარის განმარტებით, ეს ნაბიჯი გადადგმული იქნა არსებული გამოწვევების წინაშე აშშ-ის და მისი პატრნიორების უნარიანობის მხარდასაჭერად, რომელიც სპარსეთის ყურის უსაფრთხოების საკითხში მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

მიუხედავად პარტნიორობისა და ღია თანადგომისა, ამერიკა არ მორიდებია სამეფო ამბოხებების ჩახშობის მიზნით ძალის გამოყენებისათვის გაეკრიტიკებინა. ასევე უარყოფიად შეაფასეს 31 აქტივისტისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტიც.

ვითარების დარეგულირების სურვილით, 2013 წლის 21 იანვარს მეფე ჰამადი ეროვნული კონსესუსის დიალოგის ინიციატივით გამოვიდა, რაც ოპოზიციის მიერ პოზიტიურად იქნა აღქმული. დიალოგში მონაწილეობას იღებენ როგორც სუნიტური, ისე შიიტური პოლიტიკური ორგანიზაციები.

ოპოზიციის მოთხოვნების ნაწილი დიალოგის დაწყებამდე იქნა დაკმაყოფილებული. კომპენსაციის სახით 2.6 მლნ დოლარი გადაუხადეს შეტაკებების შედეგად დაღუპულ დემონსტრანტთა ოჯახებს. მიღებულ იქნა რიგი გადაწყვეტილებები ეკონომიკური და სოციალური ვითარების გასაუმჯობესებლად. მათ შორის ქვეყანაში უცხოელი მუშახელის შემცირება და ბაჰრეინის მოქალაქეებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. მეფემ მანამდე დანგრეული მეჩეთის აღდგენა ბრძანა. ამასთან, ხელუფლებამ პირობა დადო, რომ არ გაათავისუფლებენ ხალხს სამსახურებიდან მათი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით.

მცდელობების მიუხედავად, ზოგიერთი საკითხი კვლავ მოსაგვარებელია. ათობით შიიტი პოლიტიკური ლიდერი კვლავ პატიმრობაში რჩება. ზოგიერთ მათგანს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

ქვეყნის პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანის მიზნით, ეროვნული დიალოგის პირველი სესია 10 თებერვალს დაიწყო. თუმცა მხარეთა შეუთანხმებლობის გამო, მოლაპარაკებებმა უშედეგოდ ჩაიარა. როგორც ამბობენ დიალოგი რთულად მიმდინარეობს. ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს პატიმრობიდან პოლიტპატიმრების განთავისუფლებას, გარდამავალი ხელისუფლების შექმნასა და განუწყვეტელი რეპრესიების შეწყვეტას.

მაშინ, როცა ალ-ვაფექი და სხვა ოპოზიციური ფრაქციები ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ, ზოგიერთი რადიკალური შიიტური ჯგუფი დიალოგის წინააღმდეგ გამოვიდა. მათი აზრით ეს დიალოგი ვერ მოახერხებს მონარქის გავლენისა და ძალაუფლების შესუსტებას. ისინი მმართველი დინასტიისგან ძალაუფლებაზე, კერძოდ, ქვეყნაში საკვანძო სამთავრობო თუ სამხედრო პოსტებზე წვდომაზე უარის თქმას მოითხოვენ.

ბაჰრეინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიალოგს „ეროვნული კონსესუსის“ მიღწევის შანსი უწოდეს. თუმცა გაურკვეველია, როგორ იქნება გატარებული ის რეფორმები, რომელიც მათ პირდაპირ კონტროლს შეასუსტებს ქვეყნის საქმეებზე. მთავარი გამოწვევა კი შეიძლება პრემიერ-მინისტრის, *ხალიფა ბინ სალმან ალ-ხალიფას* გადაყენების საკითხი იყოს, რომელიც მეფის ბიძაა და სახელმწიფო სამსახურშია 1971 წლიდან (იმ დროიდან, რაც ბაჰრეინმა დამოუკიდებლობა მოიპოვა).

მიუხედავად 2012 წლის ოქტომბერში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დემონსტრაციების მორიგი აკრძალვისა, სამეფოში ამ დრომდე არ წყდება გამოსვლები, რომელიც უმეტესად შეტაკებებში გადაიზრდება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. ამბოხების 2 წლისთავის აღსანიშნავად ქუჩაში გამოსულმა მომიტინგეებმა ცეცხლწაკიდებული საბურავების ბარიკადები აღმართეს, სამთავრობო უსაფრთხოების სამსახურები კი დემონსტრანტებს ცრემლსადენი გაზით გაუსწორდნენ. განსაკუთრებული მეთვალყურეობა ხორციელდება „მარგალიტის მოედანზე“.

საინტერესოა, რომ სახელმწიფოს საინფორმაციო სააგენტოს არ უხსენებია მღელვარებათა დაწყების მე–2 წლისთავი და მასთან დაკავშირებული მოვლენები. თუმცა გაავრცელა ცნობა, რომ ზოგიერთ სოფელში შეინიშნებოდა ტერორისტული ქმედებები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადგილობრივ მოსახლეობის სიცოცხლეს“. აღინიშნა ასევე მოპარული და დამწვარი მანქანები და დაბლოკილი გზები. მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაშავებულია რამდენიმე პოლიციელი, როდესაც დემონტრანტებმა მათ ხელნაკეთი ბომბები დაუშინეს.

გასულ თვეს, ალ-ვაფექმა და სხვა ძირითადმა შიიტურმა ფრაქციებმა სუნიტი ხელისუფლების წარმომადგენელებთან ღია მოლაპარაკებები დაიწყეს.

ალ-ვაფექმა თავიდანვე განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მმართველ გუნდთან ეროვნული დიალოგი შედეგს არ გამოიღებს და რეალური რეფორმები არ განხორციელდება, ისინი საპროტესტო გამოსვლების ახალ ტალღას დაიწყებენ.

საერთო ჯამში, თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის აზრთა პრინციპულ სხვაობას, ეროვნული გაერთიანების მიღწევა ახლო პერსპექტივაში ქვეყანაში არც ისე იოლი ჩანს.

გამოყენებული მასალები:

http://news.yahoo.com/talks-end-bahrain-crisis-begin-amid-mistrust-141252624.html
http://news.yahoo.com/clashes-mark-bahrains-second-uprising-anniversary-061224728.html
http://news.yahoo.com/uae-grants-bahrain-2-5-billion-development-171601624--business.html
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2013/03/2013328105647947157.html
http://news.yahoo.com/clashes-bahrain-protesters-mark-anniversary-100207693.html
http://www.worldpoliticsreview.com/articles/12789/with-friends-like-these-bahrain-s-u-s-backed-military-and-the-national-dialogue
http://ru.euronews.com/2013/04/01/bahrain-police-disperse-women-s-protest-with-stun-grenades/
http://dailystar.com.lb/News/International/2013/Mar-29/211919-bahrain-shiite-opposition-warns-of-new-protests.ashx#axzz2PPowc3Bc
http://en-maktoob.news.yahoo.com/factbox-political-risks-watch-bahrain-091844203--business.html
http://www.nytimes.com/2012/06/24/world/middleeast/as-hopes-for-reform-fade-in-bahrain-protesters-turn-anger-on-united-states.html?pagewanted=all&_r=0
http://uk.news.yahoo.com/saudi-bahrain-expected-seek-union-minister-225554636.html
http://sg.news.yahoo.com/gulf-arabs-weigh-closer-union-riyadh-meeting-141556187.html
http://news.yahoo.com/bahrain-convicts-six-plotting-iran-163508551.html;_ylt=A2KJ3CSpucRPiSwALg3QtDMD
http://news.yahoo.com/iran-rejects-alleged-coup-plots-bahrain-064434527.html;_ylt=A2KJ3CZzn8xPwh0Ac5TQtDMD
http://abcnews.go.com/International/wireStory/bahrain-upholds-sentence-iran-spy-case-18852265#.UV0vcpONnVw
http://bahrain.shafaqna.com/media2/pictures/item/734-bahrain-s-royal-politics-and-the-u-s-navy-base.html
http://www.polit.ru/news/2011/04/07/iran/
http://islam-today.ru/article/7938/
http://ria.ru/world/20121225/916100908.html
http://russian.irib.ir/news/blizhni-vastok/item/158368-q-q
http://www.iimes.ru/?p=17209#more-17209
http://www.telegraph.co.uk/sport/motorsport/formulaone/f1-picture-galleries/8338547/Bahrain-Grand-Prix-in-pictures.html?image=10
http://www.aljazeera.com/news/middleeast/2012/04/2012422141637277957.html
http://www.bbc.co.uk/news/world-middle-east-14540571
http://mideast.foreignpolicy.com/posts/2012/04/23/bahrain_s_formula_one_grand_prix_runs_despite_mass_protest
http://news.yahoo.com/bahrain-welcomes-back-f1-amid-security-crunch-181550452--spt.html
http://uk.reuters.com/article/2012/04/19/uk-bahrain-grandprix-idUKBRE83I0S720120419
http://news.yahoo.com/clashes-hit-bahrain-formula-one-exhibit-145606962--spt.html

მარიამ გურეშიძე

დასავლეთი და სირიის კრიზისი

2011 წელს სირიაში, ხელისუფლებასა და აჯანყებულებს შორის დაწყებული დაპირისპირება კვლავ გრძელდება. 2012 წელს ისრაელის სამხედრო დაზვერვის შეფასებით სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ-ასადს სამოქალაქო ომში გამარჯვების მინიმალური შესაძლებლობები ჰქონდა დარჩენილი. თუმცა ისრაელის სამხედრო დაზღვერვის მეთაურის გენერალ-მაიორ ავივ კოჰავის განცხადებით ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ხელისუფლებაში დარჩენა ორი თვიდან ორ წლამდე შეიძლება გაგრძელებულიყო. ისრაელი არ გამორიცხავს სირიის მხრიდან თავდასხმას, ასევე ასევე უშვებს ირანისა და „ჰიზბალაჰის“ მხრიდან ამგვარი გეგმაზე მუშაობას.

2012 წელს სირიის ოპოზიციამ თეთრ სახლს შეიარაღებით და 6 მილიონი დოლარით დახმარება სთხოვა. აშშ-ს ხელისუფლებამ პრეზიდენტის არჩევნებამდე დახმარებაზე უარი განაცხადა.

დღესდღეობით არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ევროპის მთელი რიგი ქვეყნები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრენი არიან. კვლავ მიმდინარეობს შეხვედრები ევროპისა და აშშ-ის სახელმწიფო პირებს შორის.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შეხვედრა რომში სირიის ნაციონალური კოალიციის ლიდერთან შემდგომი ქმედებების განხილვას ეხებოდა. ჯონ კერიმ სირიის აჯანყებულებს ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება აღუთქვა. თანხა 60 მილიონ დოლარს შეადგენს. აშშ-მა ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ჯგუფებს უნდა გადასცეს მედიკამენტები, საკვები, რაციები, ჯავშანჟილეტები და ღამის ხედვის მოწყობილობები. ასევე უნდა აღადგინოს ინფრასტრუქტურა იმ ადგილებში, რომლებსაც დღესდღეობით აჯანყებულები აკონტროლებენ. ამის შესახებ ჯონ კერიმ ვაშინგტონში 2013 წლის 18 მარტს განაცხადა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა დახმარება ასევე ლტოლვილებსაც დაპირდა, რომლებიც დღესდღეობით თურქეთში, ლიბანში, იორდანიასა და ერაყში იმყოფებიან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სირიაში მებრძოლი აჯანყებულები 2012 წელს ფინანსურ დახმარებას კატარისგან, გაერთიანებული არაბული საამიროებისგან და ლიბიისგან იღებდნენ.

საყურადღებოა, რომ სირიის ქალაქ დარაასში არსებულმა სამხედრო საბჭოს გენერალმა *აჰმედ ნიმამ* 2012 წელს განაცხადა, რომ აშშ-ში მიმდინარე პრეზიდენტის არჩევნებში სირიის ოპოზიციას მიტ რომნის გამარჯვების სურვილი ჰქონდა. რამდენადაც ცნობილია, მიტ რომნი სირიელ აჯანყებულებს ფულად დახმარებას და შეიარაღების მიწოდებას ჰპირდებოდა. თუმცა იგი აშშ-ის მხრიდან სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევას გამორიცხავდა. ხოლო პრეზიდენტ ობამას განცხადებით აშშ-ს ადმინისტრაცია სირიაში ეძებდა ისეთ პიროვნებას, რომელზეც შეიარაღებისა და დაფინანსების გადაცემა განხორციელდებოდა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა განიხილავდა სირიის აჯანყებულებისათვის იარაღის მიწოდების ვარიანტებს, რადგან ცნობილია, რომ სირიაში არსებული კონფლიქტის დასაწყისშივე ევროპამ იარაღის შეტანაზე ემბარგო დააწესა. ემბარგოს ვადა 2013 წლის მაისში იწურება. თუ ევროკავშირის ქვეყნები არ გააგრძელებენ ვადას, მაშინ აკრძალვა გაუქმდება.

14 მარტს ამგვარი განცხადება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმაც გააკეთა. მან ასევე დაამატა, რომ სირიის აჯანყებულებიას დახმარება ევროსაბჭოს ერთსულოვანი თანხმობის გარეშეც განხორციელდებოდა.

რაც შეეხება გერმანიასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებს, ისინი სირიელი აჯანყებულების შეიარაღებაზე თავს იკავებენ, რადგან თვლიან, რომ ამგვარი დახმარება მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას შეუწყობს ხელს. საფრანგეთსა და ლონდონში კი ფიქრობენ, რომ ბაშარ ალ-ასადი არ დასთანხმდება მოლაპარაკებებს; და ამიტომ აჯანყებულებზე დახმარება სირიის კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთ გზას წარმოადგენს. აშშ კი სირიის კონფლიქტში ჩარევას

ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს. დღესდღეობით სირიის აჯანყებულებს არაბული ლიგის სახელმწიფოების უწევენ დახმარებას.

ოპოზიციის რიგებში დამატებითი გარემოებები გამოიკვეთა, სირიის ოპოზიციის ლიდერმა *აჰმედ მუაზ ალ-ხატიბმა* ნაციონალური კოალიცია დატოვა. ხატიბის განცხადებით, მას სურდა თავისუფლება, რომელიც ოპოზიციური მოძრაობის ხელმძღვანელობისას არ გააჩნდა. ამგვარი მოულოდნელი გადადგომა, მოჰყვა სტამბოლში სირიის „გარდამავალი პერიოდის მთავრობის“ არჩევნების დასასრულს. აჯანყებულების „პრემიერ-მინისტრად“ არჩეულ იქნა *ჰასან ჰიტო.* სირიის აჯანყებულებმა კი განაცხადეს, რომ ისინი ჰასან ჰიტოს კოალიციის ახალ ლიდერად აღიარებას არ აპირებენ.

სირიის ნაციონალური კოალიციის ხელმძღვანელობამ კატარის ქალაქ დოჰაში 27 მარტს პირველი საელჩო გახსნა. ცერემონიაში არა მხოლოდ სირიისა და კატარის, არამედ სხვა არაბული და დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. საელჩოზე აღმართეს სირიის ახალი დროშა. კატარი და სხვა მრავალი არაბული ქვეყანა სირიის კონფლიქტში აჯანყებულ-სუნიტებს უჭერენ მხარს. ამ ომში ნეიტრალურ მხარეს, მხოლოდ ლიბანი და ერაყი იჭერს, რადგან ხელისუფლებაში შიიტები არიან ხოლო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სუნიტია.

გამოყენებული მასალები:

http://lenta.ru/news/2013/02/28/help/
http://lenta.ru/news/2012/10/24/greedy/
http://lenta.ru/news/2012/11/06/romnebel/
http://lenta.ru/news/2013/03/13/brits/
http://lenta.ru/news/2013/03/14/allons/
http://lenta.ru/news/2013/03/19/ok/
http://lenta.ru/news/2013/03/24/khatib/
http://lenta.ru/news/2013/03/27/qatar/

ალჟირი და მალის კრიზისი

2013 წლის 15 იანვარს ალჟირმა მალისთან სამხედრო კონფლიქტის მოსალოდნელი ესკალაციის გამო საზღვარი ჩაკეტა. ეს ინფორმაცია ალჟირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა *ამარ ბელანიმაც* დაადასტურა. მალის ტერიტორიაზე კონფლიქტი გასული 2012 წლის გაზაფხულზე დაიწყო. აჯანყების შედეგად ქვეყნის ჩრდილოეთით ხელისუფლებაში სეპარატისტები - *ტუვარეგები* მოვიდნენ, რომლებიც შემდგომში დაჯგუფება „ანსარ -ად-დინის“ ბოევიკებმა შეცვალეს. ეს დაჯგუფება გარკვეული თვალსაზრისით „ალ-კაიდასთან“ არის კავშირში. 2013 წლის 10 იანვარს ამ დაჯგუფებამ, საკუთარი გავლენის გაფართოების მიზნით, ქალაქი კონნა დაიპყრო. კონნას დაპყრობამ მათ ქვეყნის სამხრეთი ნაწილისკენ გაუხსნა გზა. მალის ხელისუფლებამ სხვა ქვეყნებს სთხოვა დახმარება. 2013 წლის 11 იანვარს საფრანგეთმა საკუთარი სამხედრო კონტინგენტი შეიყვანა. ფრანგების მხრიდან საჰაერო დახმარებით ხელისუფლების ჯარებმა კონნის დაბრუნება შეძლეს. გაეროს უსაფრთხოების საბჭომ მალიში საფრანგეთის ჩარევას მხარი დაუჭირა. მალის ფინანსური დახმარება ალჟირმაც გაუწია. მალისა და ალჟირს შორის საზღვარი უდაბნოსთან გადის. იგი მალის ჩრდილოეთით მდებარეობს. სადაც აჯანყებული ბოევიკების ძირითადი ნაწილი არის განლაგებული. თუ მოხდება აჯანყებულების შევიწროვება, მათი მხრიდან ალჟირის საზღვრის გადაკვეთას ელოდებიან.

ისლამისტებმა, რომლებიც მეზობელი ლიბიიდან ალჟირის ტერიტორიაზე გადავიდნენ, ბუნებრივი აირის საბადო ინ-იმენასი ჩაიგდეს ხელთ. ალჟირელმა სამხედროებმა თავდაპირველად საბადოზე არსებული საცხოვრებელი სახლის გათავისუფლება შეძლეს. სწორედ აქ იმყოფებოდა ტყვეთა უმრავლესობა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამათავისუფლებელი ოპერაციის დროს ალჟირელმა ჯარისკაცებმა 11 ისლამისტის განადგურება მოახერხეს. მათ შორის არის დაჯგუფების ლიდერი *ტაჰარ ბენ ჩენები.* შტურმის შედეგად ასევე დაიღუპა 35 ტყვე, დაღუპულთა შორის ორი ინგლისელი, ორი იაპონელი და ერთი ფრანგია. ობიექტის დაპყრობა 2013 წლის 16 იანვარს მოხდა. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე დაჯგუფება „ალ-კაიდამ“ აიღო. ტერორისტების განცხადებით მათი ქმედება იყო მალიში სამხედრო ოპერაციაში საფრანგეთის ავიაციის მონაწილეობაზე (რაზეც ალჟირის ხელისუფლებამ საკუთარი საჰაერო სივრცის გამოყენების საშუალება მისცა) პასუხი. ალჟირის სპეცსამსახურების ინფორმაციაზე დაყრდნობით რეიტერმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დაღუპულ ტერორისტებს შორის ორი კანადელია. გადარჩენილმა მძევლებმა განაცხადეს, რომ ორ ტერორისტს „ჩრდილოამერიკული აქცენტი“ ჰქონდა. კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტერორისტთა შორის მყოფი კანადელების მონაცემები მოწმდება.

გამოყენებული მასალები:

http://www.aljazeera.net/news/pages/dc2bfc85-cb24-4ec3-8c27-a4cf1eb1f941
http://www.aljazeera.net/news/pages/356d8d35-96a0-4148-8312-f85569ddb706
http://lenta.ru/news/2013/01/15/border/

თამთა ბოკუჩავა

თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობები და კანონი სომხების გენოციდის შესახებ

2011 წლის 23 დეკემბერს საფრანგეთის სენატმა 127 ხმით 86-ის წინააღმდეეგ (24 წევრი არ ესწრებოდა) მიიღო სომხეთის გენოციდის კრიმინალიზაციის გადაწყვეტილება. აღნიშნული კანონი 1915წ. ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების გენოციდის ფაქტის უარყოფის შემთხვევაში ითვალისწინებს 1 წლით თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმას, €45 000 ოდენობით.

კანონის მოწინააღმდეგეთა აზრით, საფრანგეთის სენატის ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების, ისტორიული კვლევის თავისუფლების იდეებს და აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ 1789წლის საფრანგეთის დეკლარაციის მე-11 მუხლს.

დღეისათვის 1915წ. სომხების გენოციდი აღიარებული აქვს 20-მდე ქვეყანას, მათ შორის რუსეთს, საბერძნეთს, შვეიცარიას, გერმანიას და ა.შ.

საფრანგეთმა სომხების გენოციდი ფორმალურად 2001წ. აღიარა. 2006წ. მათ შეიმუშავეს კანონი აღნიშნული ფაქტის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით, კანონპროექტმა წარმატებით გაიარა სენატის ქვედა პალატა, მაგრამ ზედა პალატამ იგი უარყო. 2011წ. ეს საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. კანონპროექტი სენატში ვალერი ბუიემ წარადგინა, რომელიც იმ დროს სარკოზის მმართველი პარტიის წევრია, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარყო ყოველგვარი პოლიტიკური მოტივაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ალან ჟუპე, აღნიშნული კანონპროექტის მიღების წინააღმდეგი იყო და თავის განცხადებებში ცდილობდა განემუხტა სიტუაცია. იგი ორივე მხარეს თავშეკავებულობისაკენ მოუწოდებდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ქვეყნებს შორის ნდობისა და მეგობრობის შენარჩუნება.

კანონპროექტის მომზადებამ და განსაკუთრებით საფრანგეთის სენატის ზედა პალატის მიერ მისმა მიღებამ საფრანგეთ-თურქეთის ისედაც დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო გააუარესა. თურქეთმა გამოიწვია თავისი ელჩი პარიზიდან კონსულტაციისათვის და გააუქმა საფრანგეთთან ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შეხვედრები.

იმის მიუხედავად, რომ სარკოზის პრეზიდენტობის პერიოდში ანკარასა და პარიზს შორის ურთიერთობები საკმაოდ მძიმე ხასიათს ატარებდნენ, რაც თურქეთის ევროკავშირში მიღებაზე საფრანგეთის უარით იყო გამოწვეული, ორივე ქვეყანა განაგრძობდა მჭიდრო თანამშრომლობას ნატოს ოპერაციებში, განსაკუთრებით სირიის საკითხებში. თუმცა არსებულ ვითარებაში თურქეთის პრემიერ მინისტრმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავებსა თურქეთის ტერიტორიაზე დაშვების უფლება ჩამოართვა, გააუქმა გაერთიანებული სამხედრო წვრთნები და განაცხადა, რომ თურქეთი სათითაოდ განიხილავს საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ თურქეთის საჰაერო სივრცის გამოყენების საკითხებს.

საფრანგეთის მიერ სომხეთის გენოციდის კრიმინალიზაციის საკითხმა თურქეთის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია, რასაც მოყვა ამ უკანასკნელის საკმაოდ უხეში განცხადებები საფრანგეთის წინააღმდეგ. თურქეთის პრემიერ მინისტრმა აღნიშნულ ფაქტს რასიზმზე, დისკრიმინაციასა და ქსენოფობიაზე დაფუძნებული პოლიტიკა უქოდა და განაცხადა, რომ თურქოფობიის და ისლამოფობიის გამოყენებით სარკოზი ცდილობს ხმები მოიპოვოს

არჩევნებზე. სარკოზის განცხადებებზე, რომ დროა თურქეთმა აღიაროს სომხების გენოციდის ფაქტი, ერდოღანმა საფრანგეთს ურჩია საკუთარ ისტორიაში ჩაეხედა და ალჟირისა და რუანდის ფაქტები გაეხსენებინა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თურქეთი აღიარებს 1915წ. სომხების დახოცვის ფაქტს, თუმცა აცხადებს, რომ სომხეთის მიერ დასახელებული ციფრი 1,5 მილიონი ძალიან გაზვიადებულია და მსხვერპლის რაოდენობა 500 000 შეადგენდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა I მსოფლიო ომის დროს, როდესაც ანატოლიაში შემოჭრილ რუსებს ხშირად დახმარებას სწორედ სომხები უწევდნენ. ამასთან საომარი მოქმედებების დროს სომხებთან ერთად ბევრი ქურთი და მუსლიმი თურქიც დაიხოცა. ეს არ იყო გამიზნულად მხოლოდ სომხების განადგურება, შესაბამისად იგი არ ჯდება ტერმინ გენოციდის განსაზღვრებაში.

საფრანგეთის მიერ სომხების გენოციდის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ოფიციალურმა პირებმაც. სომხეთმა საფრანგეთს დიდი მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ეს თარიღი ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა დაიწეროს. აზერბაიჯანმა საფრანგეთის ყურადღება სომხეთის მიერ აზერბაიჯანული ტერიტორიის 20%-ის მიტაცებაზე, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების შეზღუდვაზე გაამახვილა და იგი მიკერძოებაში დაადანაშაულა.

მთავარი შეკითხვა, როგორც გაზეთი გარდიანი წერს, ის კი არ არის, ჰქონდა თუ არა 1915წ. სომხების გენოციდს ადგილი, ან აღიარებს თუ არა ამ ფაქტს თურქეთი, ან ევროპა, არამედ უნდა იყოს თუ არა ეს საკითხი აღიარებული დანაშაულად საფრანგეთისან სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიერ და არის თუ არა საფრანგეთის პარლამენტი უფლებამოსილი გამოიტანოს განაჩენი სხვა ერების წარსულ ქმედებებთან დაკავშირებით?

თურქეთის ტერიტორიაზე „პატრიოტის“ ტიპის სარაკეტო სისტემების განთავსება

სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა გარკვეული არასტაბილურობა გამოიწვია თურქეთ-სირიის საზღვარზე. თურქეთის სასაზღვრო რეგიონში რამდენჯერმე ჩამოვარდა სირიაში ნასროლი ჭურვი, რამაც გაამწვავა თურქეთსა და სირიას შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობები.

2012 წლის ნოემბერში თურქეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს – ანდერს ფონ რასმუსენს, თურქეთის ტერიტორიაზე „პატრიოტის“ ტიპის სარაკეტო სისტემის განთავსების შესახებ. სარაკეტო სისტემამ ხელი უნდა შეუწყობს ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე კრიზისის დე-ესკალაციას და იგი იქნება ალიანსის პოზიციის და ერთიანობის ნათელი მაგალითი.

2012 წლის დეკემბერში ნატომ მიიღო თურქეთის ტერიტორიაზე პატრიოტის ტიპის სარაკეტო სისტემების განთავსების გადაწყვეტილება, რასაც საფუძვლად დაედო ამავე წლის ოქტომბერში სირიული ჭურვის მიერ თურქეთის საზღვრის გადალახვის ფაქტი. აღნიშნული ინციდენტის დროს დაიღუპა თურქეთის რამდენიმე მოქალაქე; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს ოფიციალური განცხადების მიხედვით, სარაკეტო სისტემა მხოლოდ თავდაცვით ხასიათს ატარებს და იგი არ იქნება გამოყენებული რაიმე სახის თავდასხმითი ოპერაციისათვის.

2013 წლის დასაწყისში თურქეთში განთავსდა 6 პატრიოტის ტიპის სარაკეტო სისტემა. აშშ-მ, გერმანიამ და ნიდერლანდებმა, თურქეთ-სირიის საზღვრის დასაცავად გამოყვეს ორ-ორი

სარაკეტო სისტემა. იმის მიუხედავად, რომ მათი რიცხვი თურქეთის მთავრობის მიერ მოთხოვნილზე ნაკლებია, ისინი მოიცავენ თურქეთ-სირიის საზღვრის უმეტეს ნაწილს და უზრუნველყოფენ სასაზღვრო ზოლში მცხოვრები თურქეთის მოსახლეობის უსაფრთხოებას.

გერმანიიდან გამოგზავნილი სარაკეტო სისტემები განთავსდა ქაჰრამანმარაშში, ნიდერლანდიდან – ადანაში, ხოლო ამერიკული სისტემები დაამონტაჟეს გაზიანთეფში, სადაც სირიელი ლტოლვილების ყველაზე დიდი მასაა თავმოყრილი.

თურქეთის მთავრობა ჩართული იქნება სარაკეტო სისტემების დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის ყველა საფეხურზე, მაგრამ ეს უკანასკნელი დარჩება ნატოს კონტროლის ქვეშ და მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ალიანსის სამხედრო მოსამსახურეები, საშუალოდ 1200-მდე ჯარისკაცი.

იმის მიუხედავად, რომ ახჩაყალეში ჩამოვარნილი ჭურვი გახდა თურქეთში პატრიოტის განთავსების საბაბი, აღნიშნული სარაკეტო სისტემა არსებითად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას მსგავს სიტუაციებში. იგი გათვლილია სარაკეტო და არა საარტილერიო ჭურვების წინააღმდეგ; თუმცა თურქეთის მთავრობა შიშობს, რომ კუთხეში მიმწყვდეული სირიის მთავრობა საბოლოოდ ისევ თურქეთის წინააღმდეგ დაიწყებს მოქმედებას. ასეთ შემთხვევაში კი პატრიოტის სარაკეტო სისტემა უმნიშვნელოვანესი იქნება ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად.

თურქეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე ირანის ბალისტიკური სარაკეტო პროგრამაც, რომლის მოქმედების რადიუსიც მთლიანად ფარავს თურქეთის ტერიტორიას. ამას ემატება ირანში ატომური იარაღის არსებობის შესაძლებლობებიც, რაც რეგიონში ძალთა ბალანსს ირანის სასარგებლოდ შეცვლის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოპოზიციური პარტიების დამოკიდებულება აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში საკმაოდ უარყოფითია. მათი თვალსაზრისით, არსებული დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში გაუმართლებელია ძვირადღირებული შეიარაღების შეძენა, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი არ პასუხობს ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნებს. ამასთან, ასეთი ქმედება კიდევ უფრო გაამწვავებს რეგიონში არსებულ სიტუაციას, მაშინ როდესაც თურქეთი ცდილობს მშვიდობისმყოფელის პოზიცია დაიკავოს.

პატრიოტის ტიპის სარაკეტო სისტემის თურქეთში განთავსება გააკრიტიკეს რუსეთმა და ირანმაც, რომლებიც სამოქალაქო ომის დაწყებიდან უჭერდნენ მხარს სირიის არსებულ მთავრობას. ნებისმიერ თავდასხმას სირიაზე ირანი აღიქვამს, როგორც თავდასხმას ირანზე და მიიღებს შესაბამის ზომებს, სირიის არსებული ხელისუფლების დასაცავად, განაცხადა ოფიციალურმა თეირანმა თურქეთში სარაკეტო სისტემების განთავსების საპასუხოდ.

პატრიოტის ტიპის სარაკეტო სისტემები უზრუნველყოფს თურქეთის საზღვრის უსაფრთხოებას მომავალი სავარაუდო საფრთხეებისგან. იგი მისცემს საშუალებას თურქეთს მომავალშიც, ირანის ატომური პროგრამის პირობებშიც შეინაჩუნოს თავისი პოზიციები რეგიონში.

თურქულ-ქურთული კონფლიქტი: დასასრულის დასაწყისი

“ქურთული საკითხი” თურქეთისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. 1984 წლიდან იგი ჩართული აღმოჩნდა ქურთების მუშათა პარტიასთან (PKK) ღია სამხედრო დაპირისპირებაში. 2010 წლისათვის მსხვერპლმა დაპირისპირებული მხარეების და მშვიდობიანი მოქალაქეების მხრიდან 50 ათასს მიაღწია.

PKK – Parti Kurkerani Kurdistan – ქურთების მუშათა პარტია, ჩამოყალიბდა 1978 წელს. მის თავდაპირველ მიზანს ნაციონალური ავტონომია წარმოადგენდა ან “დემოკრატიული კონფედერალიზმი”, როგორც მას ორგანიზაციის ლიდერი უწოდებდა. 1984 წლიდან პარტია ნახევრად სამხედრო დაჯგუფებად გადაკეთდა და მისი მიზანი დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს – ქურთისტანის ჩამოყალიბება გახდა, რომელიც თურქეთის, სირიის, ერაყის და ირანის ქურთულ ნაწილებს გააერთიანებდა. ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს აბდულაჰ ოჯალანი, რომელიც 1999 წლიდან სასჯელს იხდის იმრალის კუნძულზე. PKK აღიარებულია ტერორისტული ორგანიზაციად.

2002წლის არჩევნების შემდეგ თურქეთის მმართველმა პარტიამ მიზნად დაისახა მოცემული პრობლემის მოგვარება. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მთავრობამ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა, რომ არის საკითხები, რომელთა განხილვაც აუცილებელია. მნიშვნელოვანია აგრეთვე მთავრობის 2009წლის ინიციატივა: “ეროვნული ერთობისა და ძმობის პროექტი”, რომელიც დღეს უფრო ფართოდ “დემოკრატიული ღიაობის” სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ინიციატივა ნათლად ასახავს მთავრობის მისწრაფებას, მოაგვაროს ქურთული კონფლიქტი. პროექტი ძირითადად განიხილავს თურქეთში ახალი, შედარებით უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის შემოღებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უმცირესობათა უფლებები და სამოქალაქო თავისუფლება.

2012 წლის ოქტომბრიდან თურქეთის მთავრობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა აბდულა ოჯალანთან, რომელიც დღემდე PKK-ს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ლიდერს წარმოადგენს. მოლაპარაკებების შედეგად 2013 წლის 21 მარტს, როდესაც მუსლიმური სამყარო ნოვრუზს აღნიშნავდა, დიარბაქირში ფერვინ ბულდანმა ქურთულად, ხოლო სირრი სურეია ონდერმა თურქულად წაიკითხეს ოჯალანის მოწოდება ორმხრივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. წერილში აბდულა ოჯალანი PKK- ს აქტივისტებს იარაღის დაყრისა პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარებისაკენ მოუწოდებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოჯალანს თავის მოწოდებაში არ უხსენებია ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო. პირიქით იგი ხაზს უსვამს ახალი კონსტიტუციის და საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს თურქეთში ქურთული მოსახლეობის უფლებების დაცვას და ადგილობრივი ხელისუფლებების გაძლიერებას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ PKK- ს სამხედრო დაჯგუფებების საბოლოოდ დაშლა, რაც იქნება კონფლიქტის დასრულების საბოლოო ეტაპი, მხოლოდ ახალი კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ მოხდება, რაც ორგანიზაციას საშუალებას მისცემს გავლენა იქონიოს საკონსტიტუციო ცვლილებებსა და მასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე. მიმდინარე მოვლენები გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ თურქეთის მთავრობა თავიდანვე თანახმა იყო ასეთ პირობებზე.

PKK-თან 30-წლიანი სამხედრო დაპირისპირების დასრულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება თურქეთის მთავრობისათვის. “ქურთული საკითხის” მოგვარება

მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარებისთვის, არამედ რეგიონში თურქეთის გავლენის გასაზრდელადაც. სირიის კონფლიქტმა, ერაყში ირანული გავლენის ზრდამ და თეირანის მიერ ასადის რეჟიმის მხარდაჭერამ უკანა პლანზე გადაწია თურქეთის, როგორც ისლამური დემოკრატიის მნიშვნელობა. PKK- სთან მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე საშუალებას მისცემს თურქეთს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ ცეცხლის შეწყვეტის ფაქტის ისტორიული მნიშვნელობის მიუხედავად, მიმდინარე მოლაპარაკებები პროცესის მხოლოდ დასაწყისია. თურქულ-ქურთულ დაპირისპირებას უამრავი დაზარალებული ჰყავს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ მთავრობისა და PKK-ს შეთანხმებას. თურქეთის მთავრობის უპირველესი ამოცანა სწორედ ფართო მასების ინფორმირება და მათთან შემდგომი მოლაპარაკება უნდა წარმოადგენდეს. რთული იქნება აგრეთვე PKK-ს წევრების ინტეგრაცია თურქულ საზოგადოებაში. არ შეიძლება აგრეთვე PKK-სგან ოჯალანის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო, რეაქციული ფრთის გამოყოფის შესაძლებლობის გამორიცხვაც, რაც გააქარწყლებს მიმდინარე პროცესების ისტორიულ მნიშვნელობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თურქეთი საგრძნობლად შეიცვალა და მთავრობამ მიაღწია რიგ დადებით და რეალურ ცვლილებებს "ქურთულ საკითხთან" მიმართებაში. განცხადებამ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ნათელი გახადა, რომ ორმხრივი კომპრომისის არსებობის შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარება უახლოეს მომავალში რეალურია.

გამოყენებული მასალები:

http://www.guardian.co.uk/world/2013/mar/21/pkk-leader-ocalan-declares-ceasefire
http://www.guardian.co.uk/world/2013/mar/21/pkk-leader-ocalan-declares-ceasefire
http://www.aljazeera.com/news/europe/2013/03/2013321112138974573.html
http://www.todayszaman.com/news-305324-main-opposition-party-criticizes-patriot-deployment-in-turkey.html
http://www.stripes.com/news/turkey-makes-formal-request-to-nato-for-patriot-missiles-1.197963
http://www.bbc.co.uk/turkce/haberler/2012/12/121214_patriot_turkey.shtml
http://www.yg.yenicaggazetesi.com.tr/yazargoster.php?haber=25047
http://turkish.ruvr.ru/2013_01_18/Patriot-Turkiye-tehlikedir/
http://www.gazeteyenisoz.com/haber-5573-abdullah-ocalan-ateskes-ilan-etti.html#.UY-Un6J0yQE
http://www.hurriyet.com.tr/planet/22867049.asp
http://www.haberturk.com/gundem/haber/830029-pkk-ateskes-ilan-etti
http://www.aksam.com.tr/dunya/dunya-ocalan-mesajini-boyle-gordu/haber-179345

გიორგი სანიკიძე

ირანის ბირთვული პროგრამა

2006 წელს აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: მსოფლიო არ დაუშვებს, რომ ირანის რეჟიმი აღიჭურვოს ატომური იარაღით. ეს არ იყო პირველი მსგავსი განცხადება, მაგრამ ამის შემდეგ დასავლეთის დამოკიდებულებამ ირანის ბირთვული პროგრამისადმი უკიდურესად მკაცრი ფორმა მიიღო.

ირანის ბირთვული პროგრამა კი სულაც არ დაწყებულა 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ. ჯერ კიდევ 1967 წელს თეირანში აიგო მცირე, 5 მეგავატიანი რეაქტორი აშშ-ის დახმარებით (Lotfian, 2008: 159). 70-იანი წლების დასაწყისში შაჰმა გადაწყვიტა ატომურ ენერგიაზე მომუშავე სადგურების ინფრასტრუქტურის შექმნა. დახმარებისათვის მან დასავლეთ გერმანიას, საფრანგეთსა და სამხრეთ აფრიკას მიმართ. გათვალისწინებული იყო სულ მცირე 20 ბირთვული რეაქტორის აგება და ამ მიზნისათვის 40 მლრდ დოლარი გამოიყო. მაშინაც იყო ეჭვი, რომ შაჰის საბოლოო მიზანს ატომური იარაღით აღჭურვა წარმოადგენდა. მოგვიანებით ეს ეჭვი დაადასტურეს შაჰის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა არდაშირ ზაჰედიმ და ირანის ბირთვული პროგრამის იმდროინდელმა დირექტორმა ახბარ ეთემადმა (Sahimi, I, 2003).

საგულისხმოა, რომ იმ ხანებში ვაშინგტონს არ გასჩენია კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ სჭირდებოდა ნავთობით ესოდენ მდიდარ ქვეყანას ბირთვული ენერგია, რასაც დღეს მუდმივად აკეთებს. ევროპული სახელმწიფოებიც, რომლებიც დღეს ასევე დაჟინებით მოუწოდებენ ირანს შეწყვიტოს ბირთვული პროგრამა, იმ დროს ირანს ბირთვული რეაქტორებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიებით ამარაგებდნენ. ეს ტექნოლოგიები კი, ისე როგორც დღეს, თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო სამხედრო მიზნებისათვის გამოყენებული.

რევოლუციის გამარჯვებისთანავე შეჩერდა ბუშეჰრის რეაქტორის პროექტი. გარდა ამისა, ომის დროს ერაყმა არაერთხელ დაბომბა ბუშეჰრი რეაქტორის დასრულებული ნაწილის განადგურების მიზნით. ამ დროს ბირთვული პროგრამისათვის ირანს, ბუნებრივია, აღარ ეცალა. 90-იანი წლების დასაწყისიდან კი დაიწყო პროგრამის თანდათანობითი აღორძინება.

სწორედ ამ პერიოდში გადაწყვიტეს რუსებმა ევროპელების მიერ დატოვებული სიცარიელის შევსება და დახმარება გაუწიეს ირანს ბუშერში ორი ბირთვული რეაქტორის აგებაში. ზოგადად, რუსეთი ამ პერიოდიდან ირანის ბირთვული პროგრამის აქტიური ხელშემწყობი გახდა (სხვადასხვა სახის ტექნოლოგიების მიწოდება, ურანის გამდიდრებაში ხელშეწყობა). თუმცა, 1995 წელს აშშ-სა და რუსეთს შორის (აშშ-ის ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ), მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ რუსეთი შეზღუდავდა თანამშრომლობას ირანთან. მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, რუსეთს არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით ირანთან აქტიური თანამშრომლობა (Khan, 2009: 143).

ზემოთქმულის მიუხედავად, 90-იანი წლების მანძილზე ირანის ბირთვული პროგრამა არ იწვევდა დასავლეთის განსაკუთრებულ შეშფოთებას. მდგომარეობა შეიცვალა 2002 წლის აგვისტოში, როდესაც თავდაპირველად ერთ-ერთმა ირანულმა ოპოზიციურმა ჯგუფმა[2] გამოაქვეყნა ინფორმაცია თეირანის მახლობლად ნათანზში მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

[2] ეს ჯგუფი იყო მემარცხენე „მოჯაჰედინ-ე ხალყ“. საგულისხმოა, რომ იმ დროს „მოჯაჰედინ-ე ხალყ“ აშშ-ს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ჰყავდა შეყვანილი. მოგვიანებით ორგანიზაცია ამ სიიდან ამოიღეს, რასაც ირანის მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა.

ნათანზში უკვე არსებობდა ურანის გამდიდრებისათვის აუცილებელი 160 ცენტრიფუგა და დაახლ. 1000 მომზადების პროცესში იყო. მალე ასევე გამჟღავნდა, რომ ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა ისფაჰანის მახლობლად და არაქში. აშშ-ისა და დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ რადიკალურად შეიცვალა.

თუმცა მალე, 2003 წლის იქტომბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება ერთი მხრივ ირანის უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს გენერალურ მდივანსა და მეორე მხრივ, გერმანიის ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი კრიზისის და საერთაშორისო სანქციების თავიდან ასაცილებლად, ირანი თანხმდებოდა შეესრულებინა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამატებითი პროტოკოლი და შესაბამისად, საკუთარი ბირთვული პროგრამის საერთაშორისო ინსპექტირების უფლება გაეცა, ასევე შეეწყვიტა ნათანზში ურანის გამდიდრების პროცესი, რაც დასავლეთში ყველაზე დიდ ეჭვებს იწვევდა. სამაგიეროდ, ევროკავშირი ირანს თავაზობდა საერთაშორისო თანამეგობრობაში ირანის რეინტეგრაციის მხარდაჭერას. თუმცა ირანის ბირთვული კრიზისის მოგვარების ეს პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა, ვინაიდან ირანელთათვის, შეერთებული შტატების გარანტიების გარეშე, ევროპელების დაპირებები არ იყო დამაჯერებელი.

ირანის პირობები ევროკავშირთან ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაზე იმ დროს შემდეგი იყო:

1. ირანის წინააღმდეგ მიღებული ყველა სანქცია უნდა გაუქმდეს, პირველ რიგში ის სანქციები, რომლებიც კრძალავს ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციებს.

2. ირანი უნდა გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი.

3. ირანმა უნდა მიიღოს უცხოეთიდან ტექნიკური დახმარება ელეტროენერგიის დამატებითი წყაროების მოსაძიებლად.

4. ბირთვული შეკავების საშუალების არარსებობის პირობებში, ირანს უნდა მიეცეს ეროვნული უსაფრთხოების სრული გარანტიები. უნდა მოხდეს ირანის ჩართვა სპარსეთის ყურის რეგიონული უსაფრთხოების ქმედით სისტემაში (Lotfian, 2008: 172).

2005 წლის 4 აგვისტოს ირანის პრეზიდენტმა ხათამიმ გამოაცხადა, რომ ირანი ხელშეკრუკლების დენონსაციას ახდენდა, რამდენადაც ევროკავშირმა არ შეასრულა აღებული ვალდებულები, და ანახლებდა ურანის გამდიდრების პროცესს. ეს იყო პრეზიდენტის პოსტზე ხათამის უკანასკნელი პოლიტიკური აქტი. ეს დამატებითი სტიმული გახდა აშშ-ისა და სანქციების მომხრეებისათვის, გაემკაცრებინათ პოლიტიკა ირანის მიმართ. სწორედ ევროკავშირმა წარუდგინა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ირანის უარი დაეშვა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ინპექცია ბირთვულ ობიექტებზე. ამგვარად, რეფორმატორი ხათამის, „ცივილიზაციათა დიალოგისა“ ინიციატორისა და აშშ-თან ურთიერთობების ნორმალიზაციის მომხრის პრეზიდენტობა დასრულდა ირანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე საერთაშორისო კრიზისით 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დროს ქვეყანა პრაქტიკულად გარშემოტყმული იყო ამერიკული სამხედრო ძალებით ერაყში, ავღანეთში, უზბეკეთში, არაბეთის ნახევარკუნძულსა და სპარსეთის ყურეში.

2006 წლის აპრილში ახალმა პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა საზეიმოდ განაცხადა, რომ ირანი უკვე აწარმოებდა ურანის გამდიდრებას. დასავლეთისთვის ეს უკვე იყო იმის ნიშანი, რომ ირანი მიზანმიმართულად და აქტიურად მიიწევდა წინ ბირთვული იარაღით აღჭურვისაკენ.

თუმცა, დღეს რთულია იმის პროგნოზირება, თუ როდის აღიჭურვება ირანი ამ სახის იარაღით. ეს დამოკიდებულია ზოგადად პროგრამის ინტენსივობაზე და ამ ამოცანისათვის გამოყოფილი ეროვნული რესურსების სიდიდეზე. ირანი დღეს აჩქარებით მუშაობს ამ პროგრამაზე, მაგრამ ამ მუშაობის ინტენსივობას ვერ შევადარებთ 70-იანი წლების პაკისტანში არსებულ ვითარებას, როდესაც ამ ამოცანისათვის პრაქტიკულად მთლიანად მოხდა ეროვნული ენერგორესურსების მობილიზება.

ჩვეულებრივია, რომ როდესაც სახელმწიფო ანვითარებს თავის ბირთვულ პროგრამას, ის ქმნის პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ გარემოს, ნაციონალისტურ ნარატივს (Betts, 1979: 1054). პაკისტანის მაგალითზე დასტურდება, რომ ამ პროგრამის მოქმედების დროს ხშირად იხსენიებოდა ნაციონალური პრესტიჟი, სამხედროები ლაპარაკობდნენ ასეთი იარაღის აუცილებლობაზე ქვეყნის თავდაცვისათვის, გარდა ამისა, მუდმივად იყო საუბარი ეკონომიკურ სარგებელზე (სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.). ირანში მსგავსი სიტუაცია ჯერჯერობით არ არის, გამომდინარე თუნდაც იქედან, რომ ოფიციალურ დონზე ირანი ყოველთვის უარყოფს იმ ფაქტს, რომ ბირთვული პროგრამის საბოლოო მიზანს შეადგენს ატომური იარაღით აღჭურვა.

რატომ სჭირდება ირანს ატომური ბომბი?

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, უნდა ითქვას, რომ ირანის სურვილი აღიჭურვოს ბირთვული იარაღით არ ემყარება ირაციონალურ იდეოლოგიურ პოსტულატებს. პირიქით, ეს შეიძლება რაციონალიზმის გამოვლინებადაც ჩავთვალოთ არსებული თუ პოტენციური საფრთხეების წინააღმდეგ. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ცენტრალურ აზიასა და ავღანეთში არსებული არასტაბილურობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის ირანის საზღვრებზე, მაგრამ ბირთვული იარაღის ფლობა ამ თვალსაზრისით ბევრი არაფრის შემცვლელია. ალბათ ირანის ბირთვული პროგრამა უნდა დავუკავშიროთ უფრო ნაკლებად თვალსაჩინო, მაგრამ ფართოდ დეკლარირებულ საფრთხეებს. უახლესი ისტორიის მანძილზე, ამერიკისა და ერაყისაგან მომდინარე საფრთხე ირანელ პოლიტიკოსთა მთავარი თავის ტკივილი და მოტივაციის წყარო იყო. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს არის ბირთვული იარაღით აღჭურვილი პაკისტანი, რომელიც შესაძლოა ირანის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა.

ბუნებრივად წამოიჭრება ისრაელის საკითხიც. ბირთვული იარაღის მქონე ისრაელი (რომელსაც სხვათა შორის, ოფიციალურ დონეზე არც უღიარებია, რომ ამგვარ იარაღს ფლობს) ირანის უპირველესი მტერია. ორ ქვეყანას შორის დღეს არსებული ურთიერთობები შეიძლება მოინათლოს დაბალი ინტენსივობის კონფლიქტად. თუმცა, ირანის დაპირისპირება ისრაელთან დღეს რეალურად გამოიხატება პალესტინური და სხვადასხვა ტერორისტულად მონათლული ორგანიზაციების მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა მორალური და ფინანსურია, მაგრამ არა პირდაპირი ჩართვა კონფლიქტში. ხამენეის განცხადებით, „პალესტინის საკითხი არ არის ირანის ჯიჰადი” (Tarock, 2006: 159). ამის დასტური ის ფაქტიცაა, რომ ღაზას სექტორში ბრძოლების დროს, 2008 წლის 28 დეკემბერს, ხამენეიმ გამოსცა ფეთვა, რომლითაც პალესტინელთა დაცვისათვის ყველა დაღუპული ცხადდებოდა ჯიჰადის მოწამედ. თეირანში 10 ათასზე მეტი მოხალისე შეიკრიბა, მათ ჯერ საპროტესტო დემონსტრაციები გამართეს დიდი ბრიტანეთის, იორდანიისა და ეგვიპტის საელჩოებთან, შემდეგ კი თეირანის მეჰრაბადის აეროპორტი დაიკავეს. ისინი ითხოვდნენ თვითმფრინავების გამოყოფას ღაზაში გასამგზავრებლად. მაგრამ ხამენეიმ ამის უფლება არ მისცა და 2009 წლის 4 იანვარს უბრძანა დაშლილიყვნენ. ეს ფაქტი ალბათ კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე

აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, ირანი თავს არიდებს პირდაპირ კონფრონტაციას თავის მეტოქეებთან.

ამდენად, ისლამური რესპუბლიკისათვის ისრაელი შეიძლება იყოს იდეოლოგიური მოწინააღმდეგე და ცივილიზაციური გამოწვევა, მაგრამ ის არ არის ის საფრთხე, რომლის უვნებელსაყოფად აუცილებელია ბირთვული იარაღით აღჭურვა.

ისრაელი ირანისათვის ევროპისა და აშშ-ის ორმაგი სტანდარტების მაგალითია: როდესაც ირანის პროგრამას აკრიტიკებენ, ხმას არავინ იღებს იმის თაობაზე, რომ ისრაელი აღჭურვილია ატომური იარაღის ფართო არსენალით. იგივე რაფსანჯანის სიტყვებით: „როდესაც ისინი საუბრობენ ატომურ იარაღზე, სიონისტურ სახელმწიფოს არც კი ახსენებენ“ (ციტ. Gheissari, 2009: 203). ირანი ასევე იხსენიებს, რომ ქვეყანამ ხელი მოაწერა შეიარაღებათა კონტროლისა და განიარაღების ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას (მათ შორის ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ), მაშინ, როცა ისრაელს სულ სამი ხელშეკრულებისთვის აქვს ხელი მოწერილი და მათ შორის არაა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება. თუმცა, ირანის დღევანდელი ანტაგონიზმი ისრაელთან არ შეიძლება ჩაითვალოს ატომური ბომბის ფლობის მთავარ მოტივაციად. ირანის ხელმძღვანელობა და სამხედროები მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ ატომური იარაღი სულაც არ არის საჭირო ამჟამად არსებული დაბალი ინტენსივობის კონფლიქტისათვის.

სრულიად სხვა განზომილებისაა სპარსეთის ყურის პრობლემა. ისლამური რესპუბლიკის პერსპექტივიდან, ყურე მისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული არენა და ყველაზე ხელსაყრელი გზა საერთაშორისო სანავთობო ბაზარზე გასასვლელად. დიდი ხნის მანძილზე, ამ თვალსაზრისით, მთავარ მოწინააღმდეგეს ერაყი წარმოადგენდა. ირანში დღემდე ყურადღების ცენტრშია ომის დროს ერაყის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება (ირანული მხარის შეფასებით, სადამ ჰუსეინმა 34 ათასი ქიმიური თავდასხმა მოაწყო და ამ შეტევების სამიზნე სამოქალაქო პირებიც იყვნენ). ერთ-ერთი ირანული გაზეთი ახლახანს წერდა: „დღესაც ვხედავთ ომის ჩვენ ვეტერანებს, რომლებიც მოწამლული არიან სადამ ჰუსეინის მიერ გამოყენებული გაზით, ეს ქიმიური იარაღი კი დამზადებული იყო გერმანიასა და საფრანგეთში“.

ერაყთან ომმა, შეიძლება ითქვას, შეცვალა ირანის სტრატეგიული დოქტრინა. ომის დროს, უფრო სწორად მის საწყის ფაზაში, ირანი იარაღის ნაკლებობის კომპენსირებას ახდენდა „რევოლუციური აღტკინებით და მოწამეობისათვის მზადყოფნით“. მაგრამ ომის დამანგრეველმა შედეგებმა ეს მოწამეობის მზადყოფნა თანდათანობით გაანელა. უკვე ომის პერიოდში გაჩნდა მყარი რწმენა იმისა, რომ ირანი უნდა აღჭურვილიყო ქიმიური თუ ბაქტერიოლოგიური იარაღით.

სადამის რეჟიმის დაცემამ შეამცირა, თუმცა სრულიად არ მოუსპია ირანისათვის ერაყიდან მომდინარე საფრთხე. ერაყში მიმდინარე არაპროგნოზირებად პროცესებს არ შეიძლებოდა, რომ ირანის შეშფოთება არ გამოეწვია. ერაყი ყოველთვის ცდილობდა და ახლაც შეძლებისდაგვარად ცდილობს ჰეგემონის პოზიციის მოპოვებას სპარსეთის ყურეში. ამ შემთხვევაში ირანის შეშფოთებას იწვევს შტატების პოზიცია, რომელიც ამ თვალსაზრისით ერაყის, როგორც “კონტროლირებადი” მოკავშირის ინტერესების გამომხატველი იქნება. უკვე საუბარია სახეშეცვლილ ნიქსონის დოქტრინის აღორძინებაზე, როდესაც სპარსეთის ყურის მთავარ მაკონტროლებლად, აშშ-ის ხელდასმით, შეიძლება იქცეს ერაყი. შაჰის დროს ეს ფუნქცია ირანს ეკისრა და სწორედ იმ ხანებში უწოდეს შაჰს “ყურის ჟანდარმი”.

ერაყი არ არის ამ თვალსაზრისით ირანის ერთადერთი პოტენციური პრობლემა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს პაკისტანსაც. 90-იანი წლების პაკისტანის პოლიტიკა ცინიკურად შეიძლება მოინათლოს. საბჭოთა კავშირის დაშლა პაკისტანმა აღიქვა ცენტრალური აზიის ბაზარზე შეღწევის შესანიშნავ საშუალებად. ამ თვალსაზრისით ავღანეთი მისთვის ხიდს წარმოადგენდა. პაკისტანს დიდი წვლილი მიუძღვის ავღანეთში თალიბების ხელისუფლების სათავეში მოსვლაში. იმავდროულად კი პაკისტანი ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა აშშ-თან. მდგომარეობა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შეიცვალა, როდესაც პაკისტანი აშკარად გადავიდა თალიბების მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მაგრამ მანამდე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: 1998 წელს პაკისტანმა ატომური იარაღი გამოსცადა. ირანში ამ ფაქტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია. ირანის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი აღნიშნავდა: „ეს არის ჯინი, რომელიც გაცილებით სჯობდა, რომ ბოთლში დამწყვდეული დარჩენილიყო“ (ციტ. Jafarzadeh, 2007: 37).

11 სექტემბრის შემდეგ კი რეგიონში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. აშშ-მა ერაყსა და ავღანეთში ჯარები შეიყვანა და, შეიძლება ითქვას, ირანს ორი მხრიდან „გაუმეზობლდა“. სწორედ იმ ხანებში კონსერვატული გაზეთი „ჯომჰური-ე ესლამი“ აღნიშნავდა: „დღევანდელ სამყაროში ნათელი ხდება, რომ თანამედროვე (იგულისხმება ბირთვული) იარაღით აღჭურვა შეკავების და შესაბამისად, უსაფრთხოების გარანტიაა და ის უვნებელყოფს დიდი სახელმწიფოებს მზაკვრულ გეგმებს თავს დაესხან სხვა ქვეყნებს”. მეორე გაზეთში კი ხაზგასმული იყო, „მომავალში ირანს მოუწევს ბირთვული ენერგიის სამხედრო ასპექტების შესახებ ფიქრი“.

11 სექტემბრის შემდგომმა სიტუაციამ ახლო აღმოსავლეთში პარადოქსული გავლენა მოახდინა ისლამურ რესპუბლიკაზე. ირანის ორი მთავარ მტერზე – თალიბებს და სადამ ჰუსეინის ერაყზე შეერთებულმა შტატებმა გადამწყვეტი იერიში განახორციელა. ამ ფაქტის მიუხედავად, ირანმა თავი ახალი და უშუალო საფრთხის წინაშე აღიქვა: გავლენიან „ირან ნიუსში“ განცხადებული იყო: „9/11–ის შემდეგ ბუშის მოხსენების საფუძველზე, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: აშშ არ შეჭრილა ჩვენს უშუალოდ დასავლეთით და აღმოსავლეთით მხოლოდ ალ-ქაიდას გასანადგურებლად. პოლიტიკოსები გვაფრთხილებენ, რომ შემდეგი პირდაპირი სამიზნე ირანია.“

ყველა ამ გამოგონილ თუ რეალურ საფრთხეს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ სინამდვილეში ირანს სტრატეგიული მოკავშირე არ ჰყავს. ის კავშირები, როგორიც მაგალითად სირიასთან აქვს (არაფერი რომ არ ითქვას რუსეთზე), ემყარება ორმხრივ დროებით დაპირისპირებას სხვა ქვეყნებთან. ჭეშმარიტ ალიანსს, რომელიც დამყარებული იქნება საერთო ფასეულობებსა და ერთიან ხედვაზე, ირანი მოკლებულია. ირანი ჯერ კიდევ გარშემორტყმულია სახელმწიფოებით, რომლებსაც მყარი სტრატეგიული კავშირები აქვთ აშშ-თან და ასევე ირანთან შედარებით უფრო თანამედროვე იარაღს ფლობენ. ამგვარი სტრატეგიული გარემო კი გარკვეულწილად უბიძგებს ირანს ეძიოს საკუთარ რესურსებზე დამყარებული სამხედრო შემძლეობა.

ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის პოლიტიკურ კლასშიც მძაფრი დებატები მიმდინარეობს. პირველ რიგ ში ხაზი უნდა გაესვას საერთო კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ ირანმა უნდა გააგრძელოს თავის ბირთვული პროგრამა და მეორე რიგში – ირანი მზადყოფნას მოლაპარაკებებებისათვის (უფრო სწორი იქნება, ვაჭრობისათვის) იმ პირობით, თუ საქმე არ შეეხება საერთოდ პროგრამის შეწყვეტას. მაგრამ საკუთრივ პროგრამასთან დაკავშირებით, რადიკალები კვლავაც ინარჩუნებენ რადიკალიზმს, ზომიერები კი შესაბამისად – ზომიერებას.

ყველა მხარე თანხმდება, რომ ბირთვული პროგრამა წარმოადგენს ირანის ეროვნულ ინტერესს.[3] ირანი დღეს არ არის ირაციონალური კრიმინალური სახელმწიფო, რომელიც ამგვარი იარაღის გამოყენებას ვარაუდობს აგრესიული რევოლუციური საგარეო პოლიტიკის გასატარებლად და შესაბამისად, საკუთარი ძალაუფლების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასავრცელებლად. ის არ ფიქრობს „ისლამური ბომბის“ შექმნაზე, რომელსაც გადასცემს ტერორისტებს ვთქვათ, ნიუ–იორკში ასაფეთებლად. ცნობილია, რომ ირანი უკვე დიდი ხანია ფლობს ქიმიურ იარაღს, მაგრამ ის არ გადაუცია ე.წ. ტერორისტული ორგანიზაციებისათვის. ირანის ფრთხილი ლიდერების მთავარ ამოცანას შეადგენს ძალაუფლების შენარჩუნება და მათ კარგად ესმით, რომ მსგავსი ქმედება აშშ-ისა და ისრაელის უკიდურესად მკაცრ პასუხს გამოიწვევს, რაც მათ რეჟიმს ბოლოს მოუღებს.

ირანს არასოდეს განუცხადებია ოფიციალურად, რომ მისი მიზანია ატომური იარაღის ფლობა,[4] მაგრამ არაპირდაპირი გზით ამ იდეის მხარდამჭერებად გამოდიან რადიკალი კონსერვატორები ქვეყნის სულიერი ლიდერის აიათოლა ხამენეის მეთაურობით და ასევე ერაყის ომისდროინდელი თაობა, პრეზიდენტ აჰმადინეჟადის წინამძღოლობით. ისევ დავუბრუნდებით ერაყის ომს და გავიხსენებთ 2005 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე აჰმადინეჟადის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს: „8 წლის განმვალობაში სადამის რეჟიმი მასიურ აგრესიულ ომს აწარმოებდა ჩემი ხალხის წინააღმდეგ. ის იყენებდა მასობრივი განადგურების ყველაზე საშინელ იარაღს ქიმიური იარაღის ჩათვლით როგორც ირანელების, ისე ერაყელების წინააღმდეგ. ვინ აძლევდა ამ იარაღს სადამს? როგორი იყო მათი რეაქცია, ვინც აცხადებს, რომ იბრძვის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების წინააღმდეგ, მაშინ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე?” (ციტ. Kinzer, 2010: 67). რაც შეეხება პრაგმატიკოსებს, აქ შეიძლება გამოიყოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსავი, ყოფილი პრეზიდენტი ალი აქბარ რაფსანჯანი, მაგრამ მათი პოზიციაც საკმაოდ ფრთხილი – საქმე ისევ და ისევ შეეხება მოლაპარაკებებს და არა პროგრამის შეწყვეტას. აქ ამ პოლიტიკოსებს ირანული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება უხდებათ (იხ. ქვემოთ).

კიდევ უფრო შორს წავიდა ისლამური მონაწილეობის ფრონტის ლიდერი, ექს-პრეზიდენტ ხათამის ძმა რეზა ხათამი: “ჩვენ არაერთი წერილით მივმართეთ რაჰბარ ხამანეის იმის ასახსნელად, რომ ურანის გამდიდრება არ შედის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში; ამ გზით ჩვენ ვკარგავთ ყველა იმ მონაგარს, რაც მოვიპოვეთ განვლილი 16 წლის მანძილზე. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა ურანის გამდიდრების შეწყვეტა და მოლაპარაკებები, რომ მივაღწიოთ საერთაშორისო საზოგადოების ნდობას”.

ამასთან ერთად, ბევრი ე.წ. ზომიერი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ირანს შეუძლია ბირთვულ პროგრამას პრაგმატულად მიუდგეს და ეს შეიძლება თავისებური კოზირი გახდეს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში. მაგალითისათვის, საკმაოდ გავლენიანი ზომიერი პოლიტიკოსი მოჰსენ მირაჰმადი ხაზს უსვამს: „რეალობას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ უკანასკნელი მიღწევები ბირთვული ტექნოლოგიების სფეროში არის ჩვენი ძალის ნაწილი და ახალ შესაძლებლობებს

---

[3] რანდ-ის კორპორაციის მონაცემებით, 2009 წლის დეკემბერში ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას სამოქალაქო მიზნებისათვის მხარს უჭერდა ირანელთა 87%; ხოლო ატომური იარაღით აღჭურვას დადებითად აფასებდა გამოკითხულთა 32%; უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად – 11%; ნეიტრალურად იყო განწყობილი 7%; უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად – 41% და პროგრამის შესახებ არაფერი იცოდა 4%-მა.

[4] ჯერ კიდევ 2000 წელს ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს დირექტორმა ღოლამრეზა აყაზადემ განაცხადა, რომ ირანმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქვეყნისათვის საჭირო ელექტროენერგიის 20% ბირთვული ენერგიიდან უნდა იყოს მიღებული (Askarieh, 2008: 191).

გვიქმნის საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ჩვენ ის ახალ საფრთხედ არ უნდა გარდავქმნათ. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ამერიკა და ევროპა არ გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ.“ დაახლოებით იგივე პათოსს ატარებს ამონარიდი გავლენიან კონსერვატულ გაზეთ „ფარდადან“: „ის მნიშვნელობა, რაც ჰქონდა და მომავალშიც ექნება ამგვარ იარაღს საერთაშორისო დონეზე, იძლევა საერთაშორისო მოლაპარაკებებში დიდი ძალას და ეროვნული ინტერესების გატარების საშუალებას.“

ახლა რაც შეეხება ირანის საზოგადოებრივ აზრს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით: დიადი ცივილიზაციის მემკვიდრეობა ქმნის საერთო აზრს, რომ ირანი უნდა აღიჭურვოს ამგვარი ძალით. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ირანის მოქალაქეებს ეს პროგრამა სიამაყის გრძნობასაც უჩენს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს გამოვიდა ირანის ბირთვული პროგრამის მიღწევებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა.

კიდევ ერთი საკითხი, რაშიც კონსერვატორები და ზომიერები თანხმდებიან, არის ის, რომ ბირთვული იარაღი ქონის უფლება ირანს ისევე აქვს, როგორც სხვა ქვეყნებს. მაგალითისთვის, ცნობილი კონსერვატორი მოაზროვნე ამირ მოჰებიანი აღნიშნავს: „ამერიკელები ამბობენ, რომ მათი ბავშვებისათვის მშვიდობის შესანარჩუნებლად მათ უნდა ჰქონდეთ ბირთვული იარაღი, ჩვენ კი არ უნდა გვქონდეს.“ მეორე მხრივ კი რეფორმისტი აქტივისტი მოსტაფა თაჯზადე დასძენს: „ეს ძალთა გაწონასწორების საკითხია: თუ მე არ მაქვს ბირთვული იარაღი, მაშინ მოკლებული ვარ უსაფრთხოებას.“ (ციტ. Arjomand, 2009: 134).

მრავალი ანალიტიკოსის მიერ ირანელი სტუდენტები მიჩნეული არიან საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრად. დასავლეთის მიერ ირანის სტუდენტური მოძრაობა იდენტიფიცირებულია დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნებთან. მაგრამ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის განათლებული ახალგაზრდობის დამოკიდებულება საკმაოდ განსხვავებულია დასავლური მოთხოვნებისაგან. სტუდენტურ ორგანიზაციებს (ამ შემთხვევაში, უპირველესად იგულისხმება ოპოზიციურად განწყობილი ორგანიზაციები) არაერთი განცხადება გაუკეთებიათ ბირთვული პროგრამის მხარდასაჭერად.

საერთო ჯამში შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადად ირანის დამოკიდებულება (როგორც სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების) გარკვეულწილად ერთგვაროვანია – ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგობა არსებობს ამ პროგრამის მიზნებისა თუ მისი გამოყენების თაობაზე. ირანული დისპორაც კი მხარს უჭერს ამ „ეროვნულ საქმეს“, რაც თავისთავად აძლიერებს თეირანის ხელისუფლების პოზიციებს. ბრძოლა ირანის უფლებისათვის ჰქონდეს ბირთვული მრეწველობა შეიძლება შეედაროს პრემიერ მოსადეყის ბრძოლას ნავთობის ნაციონალიზაციისათვის (Digard, Hourcade, Richard, 2007: 396).

შესაძლოა გარკვეული პარალელები გავავლოთ ირანში მიმდინარე დებატებსა და იმ დებატებს შორის, რომლებიც მიმდინარეობდა ჩინეთში, ინდოეთში, ისრაელში, სანამ ეს ქვეყნები შეუერთდებოდნენ ატომურ კლუბს. ნაციონალური პრესტიჟი, ეროვნული სუვერენიტეტი, დიდი სახელმწიფოების ორპირობა, შესაფერისი შეკავების საშუალების ქონის აუცილებლობა გამოგონილი თუ რეალური მტრების წინააღმდეგ – ასევე დომინირებადი თემებია ირანულ პრესასა თუ პოლიტიკოსთა გამოსვლებში. შესაძლოა ნაციონალისტურმა თემატიკამ არ მიაღწია იმ დონეს, რომელიც თავის დროზე იყო ინდოეთსა თუ პაკისტანში, მაგრამ დღეს შეიძლება ითქვას, რომ უკვე შეძენილი აქვს გარკვეულწილად ნაციონალური სიმბოლოს როლი.

დაბოლოს, რა მდგომარეობა დღეს: პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ წლების მანძილზე გარკვეული შეუთანხმებლობა არსებობდა აშშ-სა და მის ევროპელ პარტნიორებს შორის ირანის სანქციებთან დაკავშირებით. დღეს ამ თვალსაზრისით კონსენსუსი მიღწეულია. მეორე და ალბათ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბირთვული პროგრამის გამო ირანისათვის სანქციების დაწესებას მხარი დაუჭირა და დასავლეთის პოზიცია გაიზიარა ირანის ორმა ძველმა პარტნიორმა – რუსეთმა და ჩინეთმა (არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ რუსეთ-ირანს შორის ურთიერთობები 2009-2010 წლებში გაუარესდა და ირანულ პრესაში გაჩნდა მკვეთრად ანტირუსული განცხადებები).

ბოლოს ისმის კითხვა: რა არის ან საერთოდ არსებობს თუ არა ამ სიტუაციიდან გამოსავალი? ირანი არ ამბობს და ბუნებრივია, არ იტყვის უარს ბირთვულ პროგრამაზე მხოლოდ სანციების გაუქმების სანაცვლოდ, რაც არ უნდა მკაცრი იყოს ეს სანქციები, არც მხოლოდ გამოგონილი თუ რეალურად არსებული საფრთხეების მოსპობის სანაცვლოდ. ირანისათვის საკითხის გადაწყვეტას უფრო კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს, რაც გულისხმობს არამხოლოდ ზემოჩამოთვლილ ფაქტორებს, არამედ ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანას, ზოგადად არსებული რეჟიმის კანონიერების აღიარებას და ა.შ. კონსენსუსის მიღწევა ამ საკითხებზე კი საკმაოდ რთული მისაღწევია.

დამოწმებული ლიტერატურა:

Arjomand, Saïd Amir. *After Khomeini: Iran Under His Successors*. New York: Oxford University Press, 2009.

Askarieh, Mehdi. A Case of Sustainable Development of Nuclear Energy and a Brief Account of Iran's Nuclear Program. *Iran in the 21th Century: Politics, Economics and Conflict*. Routledge, 2007.

Betts, Richard K. Incentives for Nuclear Weapons: India, Pakistan, Iran. *Asian Survey*, Vol. 19, No. 11, Nov., 1979, pp. 1052-1073.

Digard, J.P, Hourcade, B., Richard, Y., *Irān dar qarn-e bistom*. Tehran, 2000, (*Iran au XXe siècle*), Paris: Fayard, 1998.

Gheissari, Ali (ed.). *Contemporary Iran: Economy, Society, Politics*. New York: Oxford University Press, 2009.

Jafarzadeh, Alireza. *The Iran Threat: President Ahmadinejad and the Coming Nuclear Crisis*. Palgrave Macmillan, 2007.

Khan, Saira. *Iran and Nuclear Weapons: Protracted Conflict and Proliferation* (Routledge Global Security Studies). Routledge, 2009.

Kinzer, Stephen. *Reset: Iran, Turkey, and America's Future*. New York: Times Books, 2010.

Loftian, Saideh. Nuclear Policy adn Internationa Relations. In Katouzian, H. & Shahidi, S. (eds), *op. cit*.

Sahimi, Mohammad. *Iran's Nuclear Program. I: Its History Iran's Nuclear Program. II: Are Nuclear Reactors Necessary? III: The Emerging Crisis.* www.payvand.com/news/03/oct/1015.htlm

Tarock, Adam. Iran's Nuclear Programme and the West. *Third World Quarterly*, Vol. 27, No. 4, 2006.